

ც ა პ ა ბ მ ო დ ე ბ ა ს ა

პირვენი ქრისტიანი



ე ც რ ა ბ ე მ ღ ლ ი ბ ა პ ც

პირების კრებული

თბილისი
2014



ხელოვნების მიზანი უბრალოა, მიანიჭო
ადამიანს სიხარული. ჩემი მოკრძალებული
ნაშრომები სწორედ ამ მიზანს ემსახურე-
ბა. მიმართ, რომ საქართველოსთვის ამ
მნიშვნელოვან უამს ეროვნული გმირების
სცენაზე გაცოცხლება ხელს შეუწყობს
ერის სულიერ აღორძინებას, რადგან ერის
სიძლიერე მის სულიერებაში და შემოქმე-
დებით მემკვიდრეობითობაშია.

გერაბ მოდებაძე

გამომცემლობა ოეპა და კომპანია 2014 წ.

რედაქტორები **ტარიელ მუმლაძე, ნამთ გაკრიაშგილი**
დამკაბადონებელი გერონიქა არუთინიანი

ISBN 978-9941-0-7198-0

© ავტორის უფლებები დაცულია საქართველოს სააგენტო
უფლებათა ასოციაციის მიერ.

მონაბიჯი

თეატრალური დრამა 3 მოქმედებაში
შიო გვეტაძის მოთხრობის „მონანიების“ მიხედვით



ავტორისაგან

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც შიო გვეტაძის „მონანიება“ დაიწერა. აღნიშნულმა ნაშრომმა იმ პერიოდში საზოგადიებაში აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია, რადგან კომუნისტური რეჟიმის კრიტიკა იმ დროს მეტად სახიფათო საქმე იყო. ნაწარმოები უცბად გახდა პოპულარული და პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის შუქურად იქცა. ნაწარმოები ტაბუდადებული და აკრძალული იქნა. მიუხედავად ამისა, მას ათასობით ადამიანი ფარულად კითხულობდა. აღნიშნული თემა დღესაც აქტუალურია, რადგან სამართალ-დამცავი ორგანოები დღესაც სცოდავენ.

მიუხედავად აღნიშნული პოპულარობისა ნაწარმოებმა სათანადო ადგილი ვერ დაიმკვიდრა თეატრსა და კინოში. ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული ნაშრომი თეატრალურ სცენაზე გადმოგვეტანა, რომელიც ბევრ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან თეატრალური სცენა არ იძლევა ნაწარმოების მთლიანად და ზუსტად ასახვის საშუალებას. აღნიშნულის გამო იგი ნაწილობრივ შეკვეცილი და შეცვლილია. მიუხედავად ამისა ნაშრომი ამით არ კნიდება, რადგან თეატრალურ დრამაში სრულად არის გადმოცემილი ნაწარმოების ძირითადი არსი, რომელიც იმდროინდელ სამართალდამცავ ორგანოების უსამართლო პრალდების საფუძველზე ერთი ოჯახის ტრაგედიაში გადაიზარდა.

იმედია, თეატრის მოყვარულებს აღნიშნული თეატრალური დრამა „მონანიება“ სიამოვნებას მიაწიჭებს და გაახსენებს ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილ იმ საშინელ ეპოქას, როდესაც ადამი-ანების ბედზე დიქტატურა ბატონობდა.

მოქმედი პირები

ჩარგიევი, იგივე თამაზ გელოვანი – ქურდი
ციალა ბარათელი – ექიმი
რევაზ გელოვანი – თამაზის მამა
მარინე – თამაზის დედა
თამარი – თამაზის დედა
ეკა – თამაზის და
დავით ბალანჩივაძე – მილიციის პოლკოვნიკი
ლევან მინდელი – გამომძიებელი
ქურდები – რუბენა, უორა, გოგი, კიტოვანი,
ივანისელი, ბალავაძე
არტაშა – მეზობელი

მოქმედება მიმდინარეობს
თბილისში და ქუთაისში 1938-50 წლებში

პირველი მოძრავებება

სცენა №1

გამომძიებელ ლევან მინდელის კაბინეტი. ფანჯარასთან ახლოს დიდი საწერი მაგიდა დგას ქაღალდებით სავსე. მაგიდას ახალგაზრდა კაცი უზის და რაღაცას წერს. მის უკან ფელიქს დერშინსკის სურათი კიდია. მაგიდას რამდენიმე სკამი უდგას. ოთახის ერთ კუთხეში ცეცხლგამძლე სეიფი დგას. უცბად კარი იღება და ოთახში პოლკოვნიკი დავით ბალანჩივაძე შემოდის.

დავითი. გამარჯობა ლევან (მიმართავს მაგიდასთან მჯდომ მამაკაცს).

ლევანი. (იგი თავს ასწევს, მაგიდიდან წამოდგება და შემოსულ პოლკოვნიკს გაუწვდის ხელს) გამარჯობათ, ბატონო დავით.

დავითი. ბედი არ გვწყალობს, ქუთაისში არნახული ამბავი მოხდა. ტყეშელიაძის ბინაში ბანდიტები შეიჭრნენ და იგი მოკლეს, ხოლო ძვირფასეულობა გაიტაცეს, რამდენიმე ხნის შემდეგ მოკლული იქნა მისი ნათესავი ანზორ ჩიკვაიძე. ორი მკვლელობა ამ პატარა ქაღაქისთვის ძალზედ ბევრია, შინაგან საქმეთა სამინისტროდან მაღალჩინოსანთა რეკვები არ წყდება, ითხოვენ საქმის სწრაფ გამოძიებას. ბატონო ლევან, გთხოვთ მომახსენოთ საქმის ვითარება, გამოძიება რა სტადიაშია ამჟამად.

ლევანი. მოგახსენებთ, ბატონო დავით, რომ მრავალი უძილო ღამეების და დაუღალავი ოპერატიული მუშაობის შედეგად ბოროტმოქმედების კვალს მივაგენით და ისინი დავაპატიმრეთ. ესენია ქურდი-რეციდივისტები ბალავაძე, ივანისელი და კიტოვანი. ეჭვი გვაქვს, რომ ამ ორგანიზებულ ბანდიტთა ჯგუფს ხელმძღვანე-

ლობდა გამოცდილი რეციდივისტი მათე ჩარგიევი, რომელიც ასევე დავაპატიმრეთ, მაგრამ სხვა მიზეზით, ჯერჯერობით მისი მონაწილეობა აღნიშნულ საქმესთან არ მტკიცდება, მაგრამ იმედია, ბალავაძის, ივანისელის და კიტოვანის დაკითხვის შემდეგ ისინი გასცემენ თავის ხელმძღვანელს და ამით მისი ბრალეულობა დამტკიცდება.

დავითი. გთხოვთ სასწრაფოდ დაკითხოთ და დაკითხვის შედეგები მომახსენოთ დღის ნებისმიერ დროს.

ლევანი. დაკითხვას დღესვე შევუდგები და შედეგებს აუცილებლად მოგახსენებთ.

დავითი. აბა შენ იცი ლევან, შენი იმედი მაქვს (იგი გამომძიებელს ხელს გაუწვდის, დაემშვიდობება და გადის ოთახიდან).

ლევანი. (ღილაკს აჭერს, შემოდის ოთახში სერუანტი და მას ეუბნება) მომიყვანეთ პატიმარი ბალავაძე დასაკითხად.

სერუანტი. არის მოგიყვანოთ პატიმარი (სერუანტი გადის ოთახიდან. რამოდენიმე ხნის შემდეგ მას ოთახში პატიმარი შემოჰყავს, ხოლო თვითონ გადის).

ლევანი. ახლოს მოდით და სკამზე დაჯექით (პატიმარი მიდის და სკამზე ჯდება. გამომძიებელი მწყრალად შეხედა პატიმარს გამოცდილი თვალით, ბალავაძე 30-32 წლის იქნებოდა, გამხდარი და დალეულია, ვიწრო მხრებზე დიდი ოთხუთხა თავი ედო). ბალავაძე (დაარღვია დუმილი გამომძიებელმა).

ბალავაძე. გისმენთ უფროსო! (ასწია თავი პატიმარმა).

ლევანი. თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ჯიუტობას აზრი არა აქვს და ყველაზე უკეთესი გზა დანაშაულის სრული აღიარებაა.

ბალავაძე. დიახ, უფროსო.

ლევანი. მაშ აღიარეთ ყველაფერი და გაათავეთ.

ბალავაძე. აკი ვაღიარე, სხვა რაღა გინდათ? (გაიკვირვა მან).

ლევანი. თქვენი აღიარება სრული არ არის. თავი ქურდად მოგაქვთ და დამწყები ჯიბგირივით კი იქცევით, გეტყობათ ვაჟკაცობის ნატამალიც არ გაგაჩნიათ, ლაჩარი ყოფილხართ.

ბალავაძე. ჩემი ლაჩრობა არავის გაუგია, ზოგიც ძიძიგურს კითხეთ და გეტყვით (წაიდუდლუნა ბალავაძემ).

ლევანი. ეგ უწინ იყო, ახლა კი შიშს დაუბეჩავებიხარ და ივანისელის ოდენასაც ვეღარ ეწევით, გაჯობეს!

ბალავაძე. რაში მაჯობეს?

ლევანი. ვაჟკაცობაში, ივანისელმა სავსებით აღიარა დანაშაული და დაწვრილებითი ჩვენებაც მისცა გამოძიებას.

ბალავაძე. ეგ ხომ მეც გავაკეთე, თუმცა დიდ ვაჟკაცობად არ ჩაგვეთვლება.

ლევანი. არა, თქვენ შიში გბორკავთ და ცდილობთ მთავარი დაუმალოთ გამოძიებას.

ბალავაძე. რა მთავარი?

ლევანი. დანაშაულში ჩარგიევისა და კიტოვანის მონაწილეობა.

ბალავაძე. (ბოროტად იღიმება) საკენკს მიყრით?

ლევანი. სრულებითაც არა.

ბალავაძე. არა კი არა, ნამდვილად. მე რომ სირცხვილად არ მიმაჩნდეს ჩერგიევისთანა პიჟონის საქმეში გარევა, დავაკმაყოფილებდი თქვენს სურვილებს და გეტყოდით, ისიც ჩვენთან იყო-მეთქი და ამით დაგიმტკიცებდით, რომ მე არავისი არ მეშინია და არც უინმეს ვფარავ, კიტოვანი კი ნამდვილად არ ყოფილა.

ლევანი. ცრუობთ! და თუ გინდათ, მე ერთხელ კიდევ დაგიმტკიცებთ, რომ ივანისელთან შედარებით შესაბრალისი ლაჩარი ხართ (მტკიცე ხმით მიუგო გამოძიებელმა. ქურდი აიმღვრა და ბრაზი მიერია).

ბალავაძე. დაამტკიცეთ? აბა ერთი დამიმტკიცეთ! (ამოიხრიალა მან).

გამომძიებელი. კეთილი, მხოლოდ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამით არა მარტო თქვენს სილაჩრეს დაამტკიცებთ, არამედ სასჯელის შემსუბუქების უკანასკნელ შანს-საც დაკარგავთ.

ბალავაძე. სასჯელის... (ბოროტად ჩაიცინა). თორემ მე ვიცი, დიდ შეღავათს გამიწევთ.... იქნებ გგონიათ, იმიტომ ვალიარე დანაშაული, რომ თქვენგან ლმობიერებას ველი? ეგ ხომ თქვენც არ გჯერათ, ლმობიერება... მერე რაში მჭირდება თქვენი ლმობიერება, რომელიც არასდროს გამოგიჩენიათ? ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ვაკეთებთ, ასევე თქვენც, რა საჭიროა ეს კომედია და სულელური აგიტაცია? თქვენი საქმეა დაგვიჭიროთ, ჩვენი გაგიქცეთ. ახლა თქვენ გაიმარჯვეთ, ხვალ ჩვენ მოვიგებთ ომს და ამდენ ქალალდსაც არ გააფუჭებთ. უფრო მოკლე საუბარი გვექნება, თქვენ იცით ჩვენი კანონი, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? ჩარგიერი გაინტერესებთ? ინებეთ და დაუმტკიცეთ ბრალდება. თუმცა ის ერთი პიუონი ვინმე ჩანს, მაგრამ მაინც არ დაგეხმარებით მის დაჭერაში. მე მგონია, ეს თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, თქვენც ხომ არ ხართ გუშინდელი გამომძიებელი და მშვენივრად უნდა გესმოდეთ ჩვენი.

ლევანი. თქვენი დახმარება არცა გვჭირდება, მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ მეტსახელი თქვენთვის სწორად შეურჩევიათ, რადგან არა მარტო ტანით, სული-თაც „წუპაკა“ ყოფილხართ.

ბალავაძე. ლანძღვას თავი დაანებეთ, რაცა ვარ, ყველამ იცის და არც შენ გეპარება ეჭვი ჩემს ვაჟკაცობაში.

ლევანი. მაშ რატომ არ აღიარებთ ჩარგიერის საქმეში მონაწილეობას?

ბალავაძე. აკი გითხარით, ასეთ პიუონთან ჩვენ საქმე არ გვაქვს-მეთქი.

ლევანი. სტყუით და იმდენად გეშინიათ, ამ პიჟონის სახელის გახსენებაც კი თავზარსა გცემთ.

ბალავაძე. რა სახელს? (დაიძაბა ქურდი).

ლევანი. ზედმეტ სახელს, თქვენებურად „კლიჩის“ (მიეგო გამომძიებელმა და თვალი თვალში გაუყარა ქურდს).

ბალავაძე (დაიბნა). საინტერესოა (გაიღიმა მან), იქნებ მითხ-რათ, რა სახელი ჰქვია?

ლევანი. სწორედ ამისთვის ამოგიყვანეთ.

ბალავაძე. მართლა? მაში მითხარით და გაათავეთ.

ლევანი. აჩქარება საჭირო არ არის, ყველაფერის თავის დროზე გაიგებთ, მხოლოდ გაფრთხილებთ, თუ შეეცდებით ხელი შემიშალოთ, მკაცრ ზომებს მივმართავ.

ბალავაძე. არაფერი მესმის (მხრებს იწევს).

ლევანი. ახლავე ყველაფერს აგიხსნით, კარგად მომისმინეთ და დაიმახსოვრეთ: წელან გითხარით, ივანისელს თქვენ-ზე მეტი ვაჟყაცობა აღმოაჩნდა და სათქმელი ბო-ლომდე თქვა-მეთქი. ახლა მე მას დაგიპირისპირებ და იგი თვითონ გეტყვის ჩარგიევის მეტსახელს, მაგრამ თუ რამე მოძრაობით ან წამოძახილით შეეცდებით ივანისელის შეჩერებას, იძულებული გავხდები სათა-ნადო ზომები მივიღო, გასაგებია?

ბალავაძე. რა თქმა უნდა, პირველად ხომ არა ვარ (იცინის). ივანისელმა უნდა მითხრას იმ არითის კლიჩა?

ლევანი. სწორედ ივანისელი გეტყვით. ახლა კი აქ დაბრძანდით, რომ ივანისელს არაფერი ანიშნოთ და ვიდრე ნებას არ დაგრთავთ, მისი შეხედვა ან დალაპარაკება არ გაბე-დოთ. (გამომძიებელმა ბალავაძეს კარების მოპირ-დაპირე კუთხეში ზურგშექცევით დასვა, შემდეგ სა-ვარძელს დაუბრუნდა და ზარის ლილაკს თითი დააჭირა. სერუანტი შემოვიდა). ამოიყვანეთ ივანი-სელი. (ბალავაძე თამბაქოს აბოლებს და გულგრილად შეჰყურებს მის წინ აღმართულ კედელს, გამომ-

ძიებელი ქალალდებს ფურცლავს. სერუანტი ივანი-სელს შემოეძლვა). მანდ დასვით (უბრძანა გამომძიებელმა და იქვე კარებთან მდგარ სკამზე მიუთითა. პატიმარი სკამზე ჩამოჯდა, სერუანტი იქვე გაჩერდა). როგორ გრძნობთ თავს? (შეეკითხა მინდელი ქურდივანისელს).

ივანისელი. გმადლობთ ზრუნვისათვის, არა მიშავს.

ლევანი. ჭრილობა აღარ გაწუხებთ?

ივანისელი. არა, ყოველდღე დადის ექთანი, წამალსა და მოვლას არ მაკლებენ.

ლევანი. ხომ არ გსურთ საავადმყოფოში მოგათავსოთ?

ივანისელი. სინაზესა და ნებივრობას თქვენგან ჩვეული არა ვარ, აქაც კარგად ვგრძნობ თავს (ივანისელმა ბოროტად გაიღიმა).

ლევანი. უნდა გესმოდეთ, რომ გამოძიებას სრულებითაც არ სურს ფიზიკური ტანჯვა მოგაყენოთ, თქვენთვის სჯობს საავადმყოფოში დაწოლილიყავით, ჯერ ხომ მთლიანად არ ხართ განკურნებული. იქ უკეთ მოგივლიან, მით უმეტეს, უკვე აღიარეთ ყოველივე და ახლა გამოძიებას მხოლოდ ფორმალური მხარელა დარჩა შესასრულებელი. (ქურდი ივანისელის თვალებში სიბრაზემ იელვა).

ივანისელი. რას ჩამაცივდით თქვენი საავადმყოფოთი, სხვა საქმე თუ არა გაქვთ, თავი დამანებეთ და საკანში გამგზავნეთ! (მიუგო უკმეხად და ფეხზე წამოდგა).

ლევანი. დაჯექით (წყნარად უბრძანა გამომძიებელმა). თუ არ გსურთ, ძალას არავინ გატანთ. რაც შეეხება საკანში გაგზავნას, მოესწრებით. ახლა კი გამოძიება ბალავაძესთან გაპირისპირებთ და გაფრთხილებთ, ჩემი ნებართვის გარეშე მას არაფერს შეეკითხოთ.

ივანისელი. კი მაგრამ აკი ყველაფერს ვაღიარე. რაღას მაპირისპირებთ?

ლევანი. მშვიდად! (მკაცრად შენიშნა გამომძიებელმა და შემდეგ ივანისელს მიუბრუნდა). აი სწორედ ზოგიერთი რამ უნდა უთხრათ ბალავაძეს, ზოგსაც მისგან მოისმენთ და დაადასტურებთ — გასაგებია?

ივანისელი. გასაგებია.

ლევანი. კეთილი (მან საქალალდე გაშალა, ივანისელის და ბალავაძის დაკითხვის ოქმები ამოიღო და წინ დაიდო. შემდეგ დაპირისპირების სუფთა ბლანკი მონახა და ანკეტური მონაცემების შევსება დაიწყო. პატიმრები ჩუმად ისხდნენ, ივანისელი თამბაქოს აბოლებდა, მისგან ზურგშექცევით მჯდომი ბალავაძე კი გისოსებიან ფანჯარას შესცეკროდა და უდარდელად აკაკუნებდა სკამის საზურგეზე. უცერად გამომძიებელმა სმენა დაძაბა, კაკუნმა რიტმული ხასიათი მიიღო. გამომძიებელს გარეგნულად არაფერი შეუმჩნევია, დინჯად გამოჰყავდა ასოები. ბალავაძე ივანისელისაგან ზურგშექცევით მჯდომი განაგრძობდა კაკუნს, გამომძიებელი ხარბად იჭერდა ყოველ დარტყმას. პატიმრები ორიოდე წუთს ერთობიან, თან ზუსტად ასრულებენ გამომძიებლის მოთხოვნას და ერთხელაც არ გადაუხედავთ ერთმანეთისთვის. კაკუნი შეწყდა, იმავე წამს ბალავაძე გამომძიებლისაკენ შემობრუნდა.

ბალავაძე. გადაიფიქრეთ დაპირისპირება? (შეეკითხა იგი თავხედურად გამომძიებელს).

ლევანი. მშვიდად, ბალავაძე!

ბალავაძე. მესმის უფროსო! (დააკრიჭა კპილები ქურდმა და გამარჯვებლივით გადახედა გამომძიებელს. გამომძიებელმა არ შეიმჩნია გამოხედვა, დახედა მის წინ არსებულ ფურცელს, რომელზედაც წერტილები და ტირები იყო გამოსახული. ეს მორზეს ანბანით საუბარი იყო პატიმრების კაკუნის საშუალებით, რომელიც გამომძიებელმა ჩაწერა.

ლევანი. შეგიძლიათ შემობრუნდეთ.

ბალავაძე. ვაა, აკი გამაფრთხილეთ, აღარ გეშინიათ?

ლევანი. თქვენი და თქვენისთანების არც როდის გვშინებია (მშვიდად მიეგო გამომძიებელმა და დაუმატა) გამოძიება უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას, აღიაროთ ყველაფერი და ამით შეინარჩუნოთ შეღავათის უფლება. მაშ, არ იცნობთ ჩარგიერს? (მიმართა გამომძიებელმა დაცინვით ბალავაძეს).

ბალავაძე. ვა — ეს რა ხათაბალას გადავეკიდე, რამდენჯერ უნდა გითხრათ, არა-მეთქი.

ლევანი. (მიმართავს ივანისელს). თქვენ?

ივანისელი. წარმოდგენა არა მაქვს ვინ არის, მოქალაქე გამომძიებელო, მე თქვენ გითხარით, როგორ გავჭურდეთ ტყეშელიაძის ბინა და როგორ დავჭური თავდაცვის დროს თვითონ ტყეშელიაძე, გითხარით რომ ამ საქმეზე წუპაკა მახლდა, წუპაკამაც დაადასტურა ჩემი ნათქვამი, სხვა რალა გინდათ? რას გადამეკიდეთ ვიღაც ჩარგიერით? დაამთავრეთ საქმე და მოგვეშვით! გვისუდონ, თორემ ჩემმა მზემ, მეტს დაკითხვაზეც ვეღარ ამომიყვანთ. ვეღარ ამომიყვანთ-მეთქი, ეშმაკმა წაიღოს ყველა გამომძიებლის თავი! (ივანისელი ცოფებს ყრის).

ლევანი. სასამართლო ნაადრევია ფირუზ, მარტო ხომ არ წახვალ, კიტოვანსა და ჩარგიერს ეწყინებათ.

ივანისელი. კიტოვანი ამ საქმეში არ ყოფილა.

ლევანი. მაშ ჩოფურას გარეშე გააკეტეთ ეს საქმე? (დაცინვით შეეკითხა გამომძიებელი მინდელი).

ივანისელი. ეს კიდევ ვინდაა?

ლევანი. (გაიცინებს) მოკლე მეხსიერება გქონია, ფირუზ, განაასე მალე დაგავიწყდათ კიტოვანის მეტსახელი? ან იქნებ კვალიაშვილი უფრო მოგწონთ? თუ კიტოვანის მესამე გვარი გირჩევნიათ, შემიძლია დაგისახელოთ

(ივანისელი აირია, შემდეგ ბალავაძეს ესროლა ბოროტი მზერა). ბალავაძეს რას უყურებთ, მიპასუხეთ! (არ ეშვება გამომძიებელი, ივანისელი დუმს). თქვენ რას იტყვით ბალავაძე?

ბალავაძე. მე რა უნდა ვთქვა? (დაიღრინა მან).

ლევანი. განა დაგავიწყდათ რაზე შევთანხმდით?

ბალავაძე. ჩვენ, ჩვენ შევთანხმდით?

ლევანი. ცხადია, აკი ითხოვეთ ივანისელთან დამაპირისპირეთო.

ბალავაძე. რაო, ვითხოვე? როდის ვითხოვე? (გაოცდა ბალავაძე).

ლევანი. სულ ნახევარი საათის წინ, აკი შევთანხმდით, დამეპირისპირებინეთ ივანისელთან.

ბალავაძე. მერე რა?

ლევანი. მერე და ის, რომ უთხარით ვინ არის ჩარგიევი და გაათავეთ (წყნარად მიეგო გამომძიებელმა. ბალავაძეს ბრაზი მოერია. შემდეგ ივანისელს მიაპყრო მზერა და როდესაც მისი ეჭვიანი ცქერა შენიშნა, გაცოფდა, მძულვარებით შეხედა მშვიდად მოლიმარ გამომძიებელს).

ბალავაძე. რა გინდათ ჩემგან? (ჩაიხიხინა ბრაზიანად).

ლევანი. მინდა უთხრათ ივანისელს, ვინ არის ჩარგიევი, კიტოვანზე საჭირო არ არის, ივანისელისათვის ეს საკითხი ნათელია. (ივანისელი დაიძაბა, შეკუმშა მუშტები და გაშმაგებული მზერა ბალავაძეს მიაპყრო).

ბალავაძე. პუშკაზე გინდა ამიყვანო? არაფერი შეგეშალოს.

ლევანი. უთხარი-მეთქი!

ბალავაძე. (გაბრაზებული ყვირის) რას შემომიჩნდი, მე რა ვიცი ვინ არის!

ლევანი. შიშმა წაგახდინათ? აკი თქვი წელან.

ბალავაძე. მე ვთქვი? (ბრაზისაგან ენა ებმევა).

ლევანი. ცხადია, თქვენ.

ბალავაძე. რა, რა ვთქვი?

ლევანი. დაგავიწყდათ „ჩერქეზი“, — „საშკა ჩერქეზი“ (დინჯად

დამარცვლა გამომძიებელმა. ბალავაძე დაჭრილი ნადირივით წამოიჭრა სკამიდან. პირი დააღლო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო, ავაზასავით ისკუპა ივანისელმა, ერთი ნახტომით გადაევლო მაგიდას და ვიდრე სერუანტი გაერკვეოდა, ბალავაძე ქვეშ ამოიდო. იმავე წამს მინდელი ივანისელს ეძერა, გამომძიებელი გონს მოსულ სერუანტს მიეშველა და როგორც იქნა ნახევრად მიმხვრჩალი ბალავაძე გამხეცებულ ბანდიტს ხელიდან გააგდებინა).

ივანისელი. სუკა, პრასტიტუტკა, ლეგავი სტუკაჩო! მე მაჩუმებდი, თვითონ კი ყველანი ჩაგვაგირავე, თხასავით გაყიდე? (ბალავაძისაკენ იწევს, სერუანტი მას ხელბორკილს ადებს. ბალავაძე მუნჯივით ზის).

ლევანი. გაიყვანეთ ივანისელი საკანში (ის გაიყვანა სერუანტმა და დაბრუნდა. ბალავაძემ ნადირივით დაიზმუვლა და სკამიდან წამოხტა, მაგრამ სერუანტმა ხელი გადაუგრიხა და სკამზე დასცა). მშვიდად ბალავაძე, თქვენი თამაში დამთავრდა (და ფეხზე წამოდგა).

ბალავაძე. ეს რა მიყავი, რა მიყავი-მეთქი, შენი ოხერი დედა..!

ლევანი. წყნარად, თორემ კარცერში მოხვდებით!

ბალავაძე. მე, მე გამყიდველი, გამცემი? უკ შენი დედა..! (ცდილობს ხელიდან დაუსხლიტეს სერუანტს).

ლევანი. გაიყვანეთ! დღეისათვის კმარა, დანარჩენი შემდეგ, როცა დამშვიდდება (უბრძანა გამომძიებელმა სერუანტს. ბალავაძე ძალით გაათრიეს. მაგიდიდან ფურცელს იღებს, ხელში იჭერს და ამბობს). ისე გაებნენ მახეში, რომ ჯერაც ვერ გაუგიათ, ეს სწორედ ის უკანასკნელი რგოლია, რომელიც კიტოვანს გასტეხს და ჭალარასასაც აალაპარაკებს. (გამომძიებელი ფანჯარას აღებს, მერე ზარს რეკავს და სერუანტს უბრძანებს კიტოვანის ამოყვანას). გადამწყვეტი ბრძოლა იწყება. (კარებში კიტოვანის გაუპარსავი სახე გა-

მოჩნდა, შემდეგ მთელი ტანით შემოიმართა, მანძილი კარებიდან საწერ მაგიდამდე სწრაფი მოძრაობით გაიარა და მიუპატიუებლად ჩამოჯდა კუთხეში მდგარ სკამზე. ფეხი ფეხზე გადაიდო და პაპიროსი გააბოლა. გამომძიებელმა მშვიდად შეათვალიერა კიტოვანი). ფეხი ჩამოიღეთ, სამიკიტნოში როდი ხართ!

კიტოვანი. ვაა, განა სამიკიტნო მილიციაზე უარესია? (ფეხი ჩამოიღო, პაპიროსი ტუჩების კუთხეში მოიქცია და ხელებით მუხლისთავებს დაებჯინა).

ლევანი. მწყრალად შეხედავს პატიმარს, მაგიდის უჯრიდან დაკითხვის შეუვსებელ ბლანკს ამოიღებს და წინ დადებს). თქვენი გვარი?

კიტოვანი. ვა, გუშინ არა მკითხე, ვეღარ დაიმახსოვრე?

ლევანი. მე ნამდვილ გვარს გეკითხები.

კიტოვანი. მეც ნატურს გეუბნები, რალა.

ლევანი. მაშ, არ გინდათ თქვენი გვარი დაასახელოთ? თუმცა არ არის გასაკვირი, თქვენ ხომ მრავალ გვარს ატარებთ.

კიტოვანი. არც იმდენს, რომ დამახსოვრება ვერ შევძლო (ჩაი-ცინებს პატიმარი).

ლევანი. მაშინ ჩამოთვალეთ თქვენი გვარები.

კიტოვანი. ძალიან ბევრი მოგივათ, თქვენთვის ერთიც საკ-მარისია (კვლავ იცინის ცრუ კიტოვანი).

ლევანი. კეთილი, რაკი არა გსურთ, მე გეტყვით, ბრალდებულო კვალიაშვილო, იგივე დავითიძე, იგივე „ჩიოფურა“, იგივე ...

კიტოვანი. საჭირო აღარ არის, მიაგენით! გაქექეთ უკვე? (შეან-ყვეტინა პატიმარმა).

ლევანი. რა თქმა უნდა, თქვენ ხომ პირველად არ ზიხართ და მშვენივრად იცით თქვენს სრულ ვინაობას დავად-გენდით.

კიტოვანი. მომილოცავს, მაღარიჩი ჩემზეა, რალა!

ლევანი. ლაზლანდარობას თავი დაანებეთ და თქვენ თავზე
იფიქრეთ, ნუთუ არ მოგწყინდათ ამდენი ბოროტე-
ბა?

კიტოვანი. აბა, ეგეთები არ იყოს! მე თვითონ შემიძლია ვისაც
გინდა აგიტაცია გაუწიო.

ლევანი. ვხედავ, მაგრამ მაინც, ნუთუ ბოროტებაში უნდა
დაასრულოთ თქვენი სიცოცხლე?

კიტოვანი. ვაა, ამ ცხოვრებაში ყველას თავისი გზა აქვს. ხომ
გაგიგონიათ, ვინ სად ჯდება, მისი ადგილიც იქ არი-
სო, მეც ჩემი ადგილი მომინახია და პურს ამით ვჭამ.

ლევანი. ადამიანის სისხლით დამბალ პურს?

კიტოვანი. სისხლიან საქმეზე მე არ დავდივარ, სუფთა სამუ-
შაოს მივდევ, რაც ცუდად დაუდევთ, ავიღებ და
მორჩა!

ლევანი. და ასე გინდათ დალიოთ სიცოცხლე?

კიტოვანი. კიდევ აგიტაციას იწყებთ? (მოიღუშა პატიმარი).

ლევანი. თუნდაც ასე იყოს, განა ცუდი იქნებოდა პატიოსან
გზას დასდგომოდით?

კიტოვანი. ხელი აიღეთ და... პატიოსან გზას... ესე იგი ქარხა-
ნაში ვიმუშაო, ოფლი ვიდინო და თვის ბოლოს რაღაც
გროშები მომიგდონ? მამა გიცხონდათ, მეტი საქმე
არა მაქვს!

ლევანი. ბევრი ქურდი გამოსწორდა, პატიოსან ცხოვრებას
შეუდგა, შრომას მიეჩვია, ნუთუ თქვენ არ შევეძლოთ
ეს?

კიტოვანი. გამოსწორდა... ეს თქვენთვის გამოსწორდა, ერთი
ზედმეტი ვირი შეიძინეთ რაღა, ჩვენ კი გვიღალატა,
გაგვყიდა, ბევრს ეს სიკვდილად დაუჯდა. (პატიმარი
გაბრაზდა და მოიღუშა) იცი რა, უფროსო, თუ აგიტა-
ციის საქნელად ამომიყვანე, თავი დამანებე, სულ
ერთია არაფერი გამოგივა.

ლევანი. კეთილი, თქვენი ბრალდების საქმეს დაუბრუნდეთ.

კიტოვანი. ასე ჯობია (ფეხი ფეხზე შემოიდო).

ლევანი. სწორედ დაჯექით-მეთქი. (გაბრაზებული) გეყოთ, რაც ითავხედეთ, თქვენ გამომძიებლის კაბინეტში ხართ და არა ქურდების ბუნავში. (პატიმარი გას-ნორდა და ფეხი ჩამოილო). რომელია თქვენი ნამდ-ვილი გვარი?

კიტოვანი. რომელიც თქვენ მოგეწონოთ, ის ჩათვალეთ.

ლევანი. ეს პასუხი არ არის. (პატიმარი მხრებს იჩეჩავს). დუმხართ? თავი კი ქურდად მოგაქვთ, ძველ ქურდად. თუმცა ჩანს, ქურდადაც არ ვარგიხართ და შიშით და-ბეჩავებული ლაზლანდარობით ცდილობთ თავის დაძ-რენას, თქვენ მხოლოდ ლაჩარი ხართ და სხვა არაფერი!

კიტოვანი. (თვალებს აპრიალებს) ლანძღვას თავი დაანებეთ, ჩემი ლაჩრობა ჯერ არავის უთქვამს. ეს თქვენც გამოსცადეთ იმ კახპას სახლში.

ლევანი. მაშინ ტყავს იცავდით, ეგ ლაჩრის ვაჟკაცობაა, ხოლო როცა ჩავარდით, საკუთარი გვარიც დაგავიწყდათ.

კიტოვანი. კმარა, მე ლაჩარი არა ვარ, მაგრამ თუ შენთვის ასე-თი მნიშვნელობა აქვს, გაიხარე, კვალიაშვილი ვარ, შემდეგ დავითიძე, ნიორაძე, გეყოფა?

ლევანი. კეთილი, სად გაიცანით ბალავაძე და ივანისელი?

კიტოვანი. თბილისში.

ლევანი. რამდენი ხანია იცნობთ?

კიტოვანი. რამდენიმე წელია.

ლევანი. ვინ გაგაცნოთ?

კიტოვანი. ეგ თქვენი საქმე არ არის, მე არავის ჩაგირავებას არ ვაპირებ.

ლევანი. როდის ჩამოხვედით ქუთაისში?

კიტოვანი. 8 იანვარს.

ლევანი. თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

კიტოვანი. გასტროლებზე ვიყავით რაღა (თან იცინის), მაგრამ

ერთი საქმეც არ დაგვიწყია, ისე დავიწვით იმ ძუკნას სახლში.

ლევანი. მაშ არავინ გაგიძარცვავთ?

კიტოვანი. ვა, არა მეთქი, ხომ გითხარით, ვერ მოვასწარით.

ლევანი. (გამომცდლად მიაჩირდება პატიმარს, პატიმარმაც გამომწვევად გაუსწორა მზერა) მისმინეთ, კვალიაშვილო, წელან გითხარით, თავი პროფესიონალ ქურდად მოგაქვთ და შეგირდივით კი ირჯებით. განა არ გესმით, რომ გამოძიებისათვის ყველაფერი ნათელია და ბრალდების აღიარების მეტი არა დაგრჩენიათ რა?

კიტოვანი. არა მართლა? (უკვირს პატიმარს).

ლევანი. ნამდვილად! მაგრამ ხომ გითხარი, ლაჩარი ხარ-მეთქი, გეშინია აღიარების.

კიტოვანი. მე არაფრის მეშინია, თქვენ კი ტყუილად ცდილობთ მუშკაზე აყვანას, მე არავის არ გავყიდი, სხვა ეძიეთ.

ლევანი. არც არავინ გთხოვთ, უთქვენოდაც ვიცით ყველაფერი.

კიტოვანი. მაშ მე რაღად მეკითხებით?

ლევანი. იმათ, რომ თუ ოდნავ შეგრჩენიათ თქვენი ქურდული თავმოყვარეობა, აბდაუბდას თავი დაანებეთ და ყველაფერი გვიამბეთ.

კიტოვანი. ჩემგან ვერაფერს გაიგებთ.

ლევანი. გავიგებთ, კვალიაშვილო, თქვენ თვითონვე იტყვით, როდესაც დარწმუნდებით, რომ გამოძიებამ ყველაფერი იცის.

კიტოვანი. მაგას ვნახავთ.

ლევანი. კეთილი, დაკავებისას თქვენ წინააღმდეგობა გასწიეთ და ოპერ-მუშაკიც მძიმედ დასჭერით, ეს ერთი. მეორე, თქვენვე აღმოგაჩნდათ 4 რევოლუციერი და მრავალი ვაზნა, ამ ფაქტებს ხომ არ უარყოფთ?

კიტოვანი. რაც მართალია, მართალია!

ლევანი. გრძელაძემ ამოგიცნოთ და დაგიპირისპირდათ კიდევაც. მგონი ესეც არ უნდა იყოს ტყუილი.

კიტოვანი. ესეც მართალია.

ლევანი. ძალიან კარგი. ქალის მოტაცების ზღაპარი თქვენ თვითონ უარყავით, აღარ მოგეწონათ, ახლა თქვით, სად დასჭრეს ივანისელი?

კიტოვანი. ჩხუბში დასჭრეს.

ლევანი. სტყუით!

კიტოვანი. მაშ თქვენ დაამტკიცეთ, სად დასჭრეს (ჩაიცინებს პატიმარი).

ლევანი. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, კვალიაშვილო და ჯიუტობას აზრი აღარ აქვს.

კიტოვანი. რა დაამტკიცეთ?

ლევანი. ის, რომ ივანისელი ტყეშელიაძემ დასჭრა, აი იმ ტყე-შელიაძემ, თქვენ რომ გაძარცვეთ და მოჰკალით.

კიტოვანი. ჩვენ არავინ არ გაგვიძარცვავს.

ლევანი. გვიანდაა, ხელთათმანებმა გაგცათ, სისხლის ანალიზ-მაც დაადასტურა.

კიტოვანი. არაფერი მესმის (მხრებს იჩეჩავს).

ლევანი. აგიხსნით (გამომძიებელი მაგიდის უჯრიდან ხელ-თათმანებს იღებს და პატიმარს წინ უდებს). ეს ხელ-თათმანები ეცვა ივანისელს, როდესაც ტყეშე-ლიაძის ბინაში შევიდა. დაჭრის შემდეგ ფანჯრიდან გადმოხტომისას, სიჩქარეში მარჯვენა ხელის შუა თითი ფანჯარაზე ლურსმანს შეაჭრა და იქვე სისხლის კვალთან ხელთათმანის რამდენიმე ძაფი დასტოვა. ხედავთ? ხელთათმანი სწორედ იმ ად-გილზეა გახეული და სისხლიც ეტყობა. ეს ხელ-თათმანები თქვენს ჩემოდანში ვიპოვეთ, სათანადო ექსპერტიზაც ჩავატარეთ. აი, დასკვნაც ინებეთ. (გამომძიებელმა პატიმარს ფურცელი წინ დაუდო) წაიკითხეთ და თვითონ დარწმუნდებით. (პატიმარმა ზედაც არ დახედა საექსპერტო აქტს, პაპიროსი ამოილო, მოუკიდა და გააბოლა. გამომძიებელმა

ხელთათმანები ისევ უჯრაში ჩაყარა, ექსპერტიზის
აქტიც საქალალდეში ჩასდო). ეხლა ხომ გესმით,
რომ თქვენს ჯიუტობას არავითარი აზრი არა აქვს?
რას იტყვით. (პატიმარი დუმს). რას იტყვით-მეთქი
(ხმას აუწია გამომძიებელმა).

კიტოვანი. (გაბრაზებული იტყვის) ვაკ დედასა, სად ჩავვარდი!
(თან გამეტებით დაირტყამს მკერდზე მუშტსა და
იტყვის) აფსუს, ჩოფურ!

ლევანი. ასე (იღიმება გამომძიებელი) ხომ ხედავთ, გზა აღარა
გაქვთ.

კიტოვანი. ვხედავ რაღა, სუფთად გიმუშავიათ.

ლევანი. მაშ...

კიტოვანი. მაშ ის, რომ ჩემი ბანკი გაკოტრდა, დავინვი რაღა,
თქვენ მოიგეთ. მკითხეთ და გეტყვით, გეტყვით, რაღა
(ბრაზობს).

ლევანი. კეთილი. აბა დავინყოთ, როგორ და რა პირობებში
გაძარცვეთ ბინა და მოკალით ტყეშელიაძე?

კიტოვანი. (ცოტახანს დუმს, შემდეგ ხელს ჩაიქნევს და დაიწყებს
ლაპარაკს) ეგ საქმე ერთმა ვინმებ მოგვცა, ჰოდა, ჩვენც
წავედით, ვიცოდით ბინის პატრონები სახლში არ იყვ-
ნენ, მაგრამ ალბათ საქმის მომცემს შეეშალა, სახლში
პატრონები დაგვხვდნენ, ეძინათ. ის იყო საქმეც
მოვათავეთ, რომ კაცმა გაიღვიძა. მე უკვე ფანჯარაში
გადავდიოდი. ის მამაოხერი ივანისელს ეძგერა, იმანაც
დანა დაარტყა, ხოლო თვითონ ფანჯრიდან გადმოვარ-
და მუცელში დაჭრილი. ქალმაც გაიღვიძა და ყვირილი
დაიწყო, ჩვენ კი ავითესეთ. ასე იყო, რაღა.

ლევანი. რამდენი იყავით?

კიტოვანი. მე, წუპაკა და ფირუზა.

ლევანი. ივანისელი?

კიტოვანი. ჴო, ივანისელი, ფირუზა, რაღა!

ლევანი. საქმე ვინ მოგცათ?

კიტოვანი. ეე, ეგ რა თქვენი საქმეა?

ლევანი. მაში, არ გინდათ თქვათ?

კიტოვანი. (მოიღუშა) იცი რა გითხრა? შენ ჩვენი წესი კარგად
იცი, ვინც არ დამწვარა, იმის გაყიდვა არ იქნება. თუ
ასეთ რამეს კიდევ მკითხავ, ჩემმა მზემ, სულ გავჩუმ-
დები.

ლევანი. კეთილი (გაელიმება), დრო მოვა და საქმის მომცემსაც
დაასახელებ, ჯერ კი განვაგრძოთ. როგორ შეხვედით
ბინაში?

კიტოვანი. ისე რა, როგორც სხვა ბინაში შევსულვართ, დუდუ-
კები არ დაგვიკრავს.

ლევანი. ერთხელ გითხარით, ნუ ლაზლანდარობ-მეთქი
(შეუტია გამომძიებელმა).

კიტოვანი. ვა, რას ცხარობ, უფროსო, მკითხე და გიპასუხებ,
სხვა რაღა გინდათ?

ლევანი. მე გეკითხებით, როგორ შეხვედით დაკეტილ ბინაში?

კიტოვანი. ფანჯარა გავაღეთ და შევედით.

ლევანი. შიგნიდან დაკეტილი ფანჯარა როგორ გააღეთ?

კიტოვანი. ვა, მა რისი ოსტატები ვართ, თუ ფანჯარასაც ვერ
გავაღებთ? (გაიკვირვა პატიმარმა).

ლევანი. არ გინდათ თქვათ?

კიტოვანი. გავაღეთ და შევედით, მორჩა და გათავდა!

ლევანი. კარგით, რა წაიღეთ სახლიდან?

კიტოვანი. ცოტა რამ, ჩვენ ბარახლოზე არ ვმუშაობთ, ანტიკა
რამეები მოგვწონს (გაილიმა ცრუ კიტოვანმა).

ლევანი. მაინც რა წაიღეთ?

კიტოვანი. ორი ოქროს საათი თავისი ცეპოჩკებით და 25000
მანეთის ობლიგაციები.

ლევანი. კი, მაგრამ საქმის მომცემმა გითხრათ, რომ ოქროს
საათი და ობლიგაციები იყო მოსაპარავი?

კიტოვანი. არა, იმან საქმე მოგვცა.

ლევანი. ეს როგორ გავიგოთ?

კიტოვანი. ისე რა, როგორც ვამბობ, საქმე მოგვცა და ჩვენც
წავიღეთ.

ლევანი. საქმის მომცემი ტყეშელიაძის ნათესავი იყო?

კიტოვანი. მე რა ვიცი ვინ იყო!

ლევანი. ჩვენ უკვე ვიპოვნეთ ის ვინც იყო.

კიტოვანი. მართლა? მაშ ჰკითხეთ და გეტყვით.

ლევანი. არა, კიტოვანო, კითხვით ველარ ვკითხავთ.

კიტოვანი. ვერ კითხავთ, რათა?

ლევანი. თქვენ ხომ მოჰკალით იგი, შეუბრალებლად მოჰკალით!

კიტოვანი. მოვკალი? ვინ მოვკალი? (ხმა აუკანკალდა).

ლევანი. აზზორ ჩიკვაიძე, საქმის მომცემი.

კიტოვანი. ტყუილია, არავინ არ მომიკლავს, ჩიკვაიძეს არ ვიცნობ, ტყუილია (ყვირის პატიმარი).

ლევანი. აი, ნერვებმაც გილალატათ. მშვიდად, კიტოვანო, რას ერჩოდით ჩიკვაიძეს?

კიტოვანი. ტყუილია, ჩიკვაიძე ჩვენ არ მოგვიკლავს, არც ვიცი, ვინ არის.

ლევანი. მოჰკალით-მეთქი!

კიტოვანი. შენ სველი საქმეების ჩვენზე აკიდებას თავი დაანებე, ჩვენ ქურდები ვართ და არა ბანდიტები.

ლევანი. კეთილი, ამ საკითხს კიდევ დაუბრუნდებით, ახლა კი მიპასუხეთ, ვისი მანქანით მოიტაცეთ ქირურგი გრძელიძე?

კიტოვანი. ხალტურის მანქანით.

ლევანი. სისულელეებს თავი დაანებეთ! საჭესთან თქვენ იჯექით. გრძელაძემ ამოგიცნოთ. ვის გამოართვით მანქანა?

კიტოვანი. (დაპნეულია) მე არ ვიცი, წუპაკამ მოიყვანა.

ლევანი. სტყუით!

კიტოვანი. ვა, გეუბნები, არ ვიცი-მეთქი.

ლევანი. მაშ მე გეტყვით, დავით ქავუარაძეს გამოართვით.

კიტოვანი. მე ქავუარაძეს არ ვიცნობ.

ლევანი. არა, იცნობთ, ძალიან კარგად იცნობთ!

კიტოვანი. ვის ვიცნობ?

ლევანი. დავით ქავუარაძეს, „კიტრას“, აი ვის. ტყუილად უარყოფთ, ეს უკვე დადგენილია, თუ არ გჯერათ, დაგიპირისპირებთ. იტყვით თუ არა?

კიტოვანი. (მოტეხილია). მართალია, ვალიარებ, რომ მანქანა ქავუარაძის იყო.

ლევანი. რატომ ქავუარაძე არ მართავდა მანქანას?

კიტოვანი. მან არ იცოდა, რა საქმეზე მივდიოდით, არც ჩვენ გვინდოდა გაეგო.

ლევანი. რომელი საქმე?

კიტოვანი. ტყეშელიაძის სახლის გაქურდვა.

ლევანი. მაშ აღიარებთ, რომ ტყეშელიაძის ბინის გასაქურდავად ქავუარაძის მანქანით იყავით?

კიტოვანი. ვალიარებ, სწორედ მისი მანქანით ვიყავით.

ლევანი. სად გაიცანით ქავუარაძე?

კიტოვანი. თბილისში გავიცანი.

ლევანი. როდის და რა ვითარებაში?

კიტოვანი. გასულ ზაფხულში, თვე არ მახსოვს. ერთ კომპანიაში შევხვდით. ზარს ვთამაშობდით, ხოდა ნალდის გარდა 1000 მანეთი ვალიც მოვუგე. ერთ კვირაში უნდა ჩაებარებინა, მაგრამ აითესა. ქუთაისში ჩამოსული შემთხვევით შევხვდი, ფული მოვთხოვე, შემდეგ შევთანხმდით, მანქანა ეთხოვებინა ორი დღით და ვალსაც გადახდილად ჩაუთვლიდი.

ლევანი. შემდეგ?

კიტოვანი. რა გზა ჰქონდა, მათხოვა.

ლევანი. როდის მოუყვანეთ ქავუარაძეს მანქანა?

კიტოვანი. მეორე დღეს ღამის 2 საათზე.

ლევანი. სად?

კიტოვანი. თავის ბინაზე.

ლევანი. კეთილი, ვინ არის ის ჭაღარა კაცი, რომელიც გრძელა-
ძის მოსატაცებლად გახლდათ?

კიტოვანი. ერთი ჩემი ძმაკაცი.

ლევანი. ვინ ძმაკაცი, დაასახელეთ!

კიტოვანი. მე უკვე გითხარით, ეგ ჩვენ კარაბადინში არ სწერია-
მეთქი.

ლევანი. აკი დაასახელეთ ქავუარაძე, რა განსხვავება?

კიტოვანი. ქავუარაძე არიფია, არიფი კი სათვალავში არ არის,
რაც შეეხება ჩვენს ხალხს, ნაჭერ-ნაჭერადაც რომ
ამკუნოთ, არ გავყიდო.

ლევანი. გამოდის, რომ ჩიკვაიძე თქვენი კაცი იყო, მაშ, რად
მოჰკალით?

კიტოვანი. მე გითხარით, რომ არ ვიცნობ ვიღაც მუდრეგ
ჩიკვაიძეს, რას გადამეკიდეთ? (ლრიალებს პატი-
მარი).

ლევანი. რად მოჰკალით-მეთქი?

კიტოვანი. (ფეხზე წამოიჭრება) თქვენ რა, ტყუილუბრალოდ
გინდათ გამიშვათ რასხოდში? (ჩაიხრიალა პატიმარ-
მა).

ლევანი. დაჯექით! ამის შესახებ მაშინ უნდა გეფიქრათ, როცა
მკვლელობას სჩადიოდით. (პატიმარმა მუშტი პირში
ჩაიდო და იკბინა). გვიანლაა თითზე კბენა, თქვით,
რატომ მოჰკალით ჩიკვაიძე და გაათავეთ!

კიტოვანი. არ მომიკლავს-მეთქი! ახლა თუ გინდათ დილამდე
მკითხეთ, აღარ გიპასუხებ, გითხარი ქურდი ვარ და
არა ბანდიტი!

ლევანი. კეთილი, მაგის დროც მოვა. რა უყავით ნაძარცვ
ნივთებს და ობლიგაციებს?

კიტოვანი. შევასუხარეთ.

ლევანი. სად და ვის მიჰყიდეთ?

კიტოვანი. ვა, ადგილის მეტი რაა, ქუთაისში ხომ არ დავალა-
გებდით.

ლევანი. ისევ ტყუილები დაიწყეთ?

კიტოვანი. მე გითხარით, ჩემი ბანკი გაკოტრდა, ამიტომ
სიმართლეს ვაღიარებ.

ლევანი. ტყუილი ანგარიშია, თქვენი ხელის დამცლელი უკვე
დაპატიმრებულია.

კიტოვანი. ვაა! ვინ არის?

ლევანი. მალე შეგახვედრებთ.

კიტოვანი. შემახვედრებთ და შემახვედრეთ! ეგეც მე ვიტირო?

ლევანი. მაშინაც არ ამბობთ?

კიტოვანი. იმიტომ რომ არ ვიცი.

ლევანი. ვინ მოგცათ წერილი, რომელიც დევიძეს მიუტანეთ?

კიტოვანი. ერთი კაცი ჩამოვიდა გადასახლებიდან და იმან
მომცა.

ლევანი. რა გვარია და სად არის ამჟამად?

კიტოვანი. ვა, ძალიან ბევრი მოგივათ, ეძებეთ და იპოვით.

ლევანი. რად გინდოდათ წერილი?

კიტოვანი. აკი გითხარით, ქუთასში გასტროლებზე წამოვე-
დით, ჰოდა, უხიფათო ბინა რომ გვქონდა, ეს წერილი
გამოვიყენეთ.

ლევანი. წერილი თქვენ ტყეშელიაძის ბინის გაძარცვამდე
ჩამოიტანეთ?

კიტოვანი. სწორია. მერე რა?

ლევანი. ის, რომ მაშინ მარტო იყავით ჩამოსული და...

კიტოვანი. და არცერთი საქმე არ დამიწყია? მართალია ჩამო-
ვედი, გიორგაძის ცოლი ვნახე, ბინა შევიგულე და
წავედი.

ლევანი. თქვენი ჩამოსვლის მიზეზი ტყეშელიაძის ბინის გაქურ-
დვა იყო?

კიტოვანი. არა, ეგ შემთხვევით გამოვიდა. ჩვენ სულ სხვა საქმე
გვქონდა, მაგრამ ვერ გავაკეთეთ ფირუზას დაჭრის
გამო. (გამომძიებელი წამოდგა, ფანჯარა ფართოდ
გამოალო. სასიამოვნო სიგრილე შეიგრძნო, კაბინეტ-

- ში** შესამჩნევლად გასუფთავდა ჰაერი. მინდელმა ფანჯარა დახურა და სავარძელს დაუბრუნდა).
- ლევანი.** კიტოვანო! (პატიმარმა თავი ასწია) ხომ ხედავთ, ჯიუ-ტობას აზრი აღარა აქვს, სთქვი ყოველივე და გაათავე.
- კიტოვანი.** ვა, კიდევ დარჩა რამე? რაც გამიკეთებია, მითქვია, რაც არ გამიკეთებია, ტყუილს ხომ არ ვიკისრებ?
- ლევანი.** სხვის დანაშაულს თქვენ არავინ გაბრალებთ, ხოლო რაც გააკეთეთ, ამაზე პასუხს გაგებინებთ.
- კიტოვანი.** მაშ არადა, მე ვიცი, სანატორიუმში გამგზავნით (ჩაიცინა პატიმარმა).
- ლევანი.** კიდევ ერთხელ გეკითხებით, ვის მიჰყიდეთ ნაპარავი ნივთები?
- კიტოვანი.** მეც კიდევ ერთხელ გიპასუხებთ, ერთ ვინმეს.
- ლევანი.** ხოტოველი სალამს გითვლით, ვახტანგ.
- კიტოვანი.** ვინ... ვინ მითვლის?
- ლევანი.** ხოტოველი, იოსებ ხოტოველი (ელიმება გამომძიებელი).
- კიტოვანი.** ეს კიდევ ვინღაა? (გაუკვირდა პატიმარს).
- ლევანი.** იოსებ ხოტოველი, აღარ გახსოვთ, წყალტუბოს ნაწარ-მი ძეხვი რომ გამოგიგზავნათ?
- კიტოვანი.** არაფერი მესმის!
- ლევანი.** როგორ არ გესმით, განა დევიძის ქალი თქვენ არ გაგზავნეთ მასთან? იქნებ ამასაც უარყოფთ.
- კიტოვანი.** ჰომ, ხოტოველი? იოსკა? როგორ არა, გამახსენდა, მაღაზიაში რომ მუშაობს?
- ლევანი.** სწორედ ის, ხომ არ გინდათ შეგახვედროთ?
- კიტოვანი.** რატომ უნდა შემახვედროთ?
- ლევანი.** უბრალოდ, შეგახსენებთ, რა გადაგიხადათ მოპარული ნივთებსა და ობლიგაციებში და კიდევ...
- კიტოვანი.** კიდევ რა? (გაბრაზდა პატიმარი).
- ლევანი.** და კიდევ... (გააჭიანურა სიტყვა გამომძიებელმა) სალამს გადმოგცემთ ჩარგიევ მათესაგან ანუ „საშ-კა ჩერ-ქეზი-საგან“ (დამარცვლა სიტყვები გამომძიებელმა).

კიტოვანი. (გამხეცებული წამოიჭრა, საკინძე გაიგლიჯა) მე არავითარ ჩარგიევს არ ვიცნობ, გესმით? არავითარ ჩერქეზი! (პატიმრის ყვირილზე სერუანტი შემოიჭრა და მუშტებმოკუმულ პატიმარს უკნიდან მხრებში სწვდა).

ლევანი. შეწყვიტეთ ლრიალი! (პატიმარი გამომძიებლისკენ მოიწევს). ახლავე შეწყვიტეთ-მეთქი (ყვირის გამომძიებელი).

კიტოვანი. არ ვიცნობ, არ ვიცნობ-მეთქი!

ლევანი. გაუშვით და წყალი მიაწოდეთ, დამშვიდდება. (სერუანტმა ხელები შეუშვა პატიმარს და წყლით სავსე ჭიქა შესთავაზა. პატიმარმა ხარბად შესვა, ჯიბე მოიქექა, მაგრამ პაპიროსი გამოლეოდა). მოსწიეთ (გაუწოდა მინდელმა კოლოფი, პატიმარმა აკანკალებული ხელებით ძლივს ამოიღო პაპიროსი, მაგრამ ასანთის გაკვრა ვერ შესძლო, რამდენიმე ღერი გატეხა. სერუანტი მიეშველა, ანთებული ღერი მიაწოდა, პატიმარმა ლრმად მოქაჩა, ერთხელ, მეორედ, კიდევ ერთხელ). დაგვტოვეთ (უბრძანა მინდელმა სერუანტს, სერუანტმა წყნარად გაიხურა კარი). დაწყნარდით? ძლიერ გშინებიათ „ჩერქეზის“, თუმცა თავი ვაჟეაცად მოგაქვთ.

კიტოვანი. მე არვის არ მეშინია, მით უმეტეს ვიღაც ჩარგიევის.

ლევანი. არა, გეშინიათ, უფრო მეტიც, ისტერიკები მოგდით. ყველას ტვირთს თქვენ ვერ ასწევთ, ვახტანგ კვალიაშვილო, გაიჭყლიტებით.

კიტოვანი. მე არავის ტვირთს არ ვეწევი, ჩემიც მეყოფა.

ლევანი. ეგ რომ გესმოდეთ, თქვენს თავზე იზრუნებდით და არ შეეცდებოდით სხვისი დანაშაულის აღებას.

კიტოვანი. თქვენ ჩემზე ნუ ზრუნავთ, უთქვენოდაც იოლად წავალ როგორმე.

ლევანი. მაშასადამე „ჩერქეზის“ არ იცნობთ!

კიტოვანი. გითხარით, არა-მეთქი! (დაიღრიალა პატიმარმა).

ლევანი. არც ხოტოველი გაგიგ ზავნიათ მასთან?

კიტოვანი. ეს კიდევ საიდან მოიტანეთ?

ლევანი. თქვენ ცუდი კონსპირატორი ხართ, ჩოფურ (გაიღიმებს გამომძიებელი), თუმცა თავი გამოცდილ ქურდად მოგაქვთ, სინამდვილეში ყველა თქვენი ნაცოდვილარი ვეებერთელა კვალს ტოვებს, ჩარგიევიც თქვენ უნდა გიმადლოდეთ ჩავარდნას.

კიტოვანი. აყვანას მიპირებთ? (ბრაზობს).

ლევანი. არა, რათა! სიმართლეს გეუბნებით, თქვენ გგონიათ დიდი კონსპირაცია გამოიჩინეთ, როდესაც ხოტოველს გააგებინეთ როდის და რომელ საათზე გამოცხადებულიყო 407 ნომერში ბასკაკოვასთან? ან იქნებ გგონიათ, რაკი გულუბრყვილო ქალის მოტყუება შესძელით, გამოძიებაც მოტყუვდებოდა? შეცდით, კვალიაშვილო, მოტყუვდით: ყველაფერი პირიქით მოხდა და როგორც თქვენ, ისე „ჩერქეზიც“ ორივე ფეხით გაებით ხაფანგში.

კიტოვანი. არ მესმის რაზე ლაპარაკობთ!

ლევანი. კმარა, ვახტანგ, ნუთუ იმდენად დაგაბნიათ შიშმა, მარტივი ჭეშმარიტებაც სადავოდ გინდათ გახადოთ?

კიტოვანი. გეუბნებით, არ ვიცი რაზე ლაპარაკობთ.

ლევანი. ნუთუ? (გამომძიებელი საქარალდედან ფოტოსურათს იღებს და პატიმარს აწვდის). აი ინებეთ და დარწმუნდებით თქვენს სულელურ კონსპირაციაში, იქნებ ამის შემდეგ მაინც გეყოთ გამბედაობა და შეურიგდეთ თქვენს სრულ ჩავარდნას. (პატიმარი უხალისოდ ჩამოართვა ფოტოსურათი, სადაც 50 მანეთიანი იყო გამოსახული, მხრები აიჩეჩა და უკან დაუბრუნა გამომძიებელს). იცანით?

კიტოვანი. რა ვიცანი?

ლევანი. ფული, რომელიც დევიძეს გაატანეთ ხოტაველთან.

კიტოვანი. აბა შენა ყოფილხარ აი (იცინის). გეგონება ბოლშე-ვიკებს მხოლოდ ერთი ცალი ხუთთუმნიანი მოქრათ და ისიც უეჭველად ჩემი დასტურით, რომ შევხედავ თუ არა, ხელათ ვიცნო.

ლევანი. ლაზლანდარობას თავი დაანებეთ, კიტოვანო!

კიტოვანი. ჩემმა მზემ, სტრანნი ვინმე ხართ-მეთქი, არა საიდან მოიტანეთ, რომ ეს ჩაკარტოჩებული 50 მანეთიანი უეჭველად ჩემი ნაცნობია?

ლევანი. მაშ უარყოფთ?

კიტოვანი. ვა, შარი თუ გინდა ეს არი. აი იქნება ახალი ისიც მითხვათ, ამ 50 მანეთიანს რანაირი მეტრიკა და პას-პორტი აქვს?

ლევანი. გეტყვით, აუცილებლად გეტყვით.

კიტოვანი. ვაა! აი სეირი თუ გინდა, ეს იქნება. აი მაშ მოიტა მაჩვენე. რო ერთი ჯიგრიანად გავიცინო რაღა.

ლევანი. კეთილი, თავის დროზე ყველაფერს გიჩვენებთ, ჯერ კი შემდეგ კითხვაზე მიპასუხეთ: ვინ მოგცათ ბასკაკოვის მისამართი?

კიტოვანი. ვისი მისამართი?

ლევანი. ტანია ბასკაკოვას მისამართი.

კიტოვანი. აკი გითხარით, არ ვიცნობ ვიღაც ოხერ ბასკაკოვას.

ლევანი. მაშ ვისთან უნდა გამოცხადებულიყო ხოტოველი 15 იანვარს საღამოს 10 საათზე?

კიტოვანი. ეგ მე საიდან უნდა ვიცოდე?

ლევანი. სწორედ თქვენ უნდა იცოდეთ, აკი ასე დაავალეთ ხოტოველს.

კიტოვანი. რამდენჯერ უნდა გითხრათ, ხოტოველისათვის არაფერი დამივალებია-მეთქი.

ლევანი. თქვენ ასე გონიათ?

კიტოვანი. მა ისე უნდა მეგონოს, როგორც თქვენ გინდათ?

ლევანი. არა, კვალიაშვილო, მაგრამ არც ისე, თქვენ რომ გინდათ. აბა ამ სურათს ერთხელ კიდევ დახედეთ,

კარგად დააკვირდით და შემდეგ მიპასუხეთ (გამომძიებელმა 50 მანეთიანი ბანკნოტის ფოტოასლი ახლოს მიუწია პატიმარს).

კიტოვანი. ვა, ვნახე და ის იყო. ახლა ზეპირად ხო არ უნდა ვისწავლო.

ლევანი. დახედეთ. დახედეთ და მიპასუხეთ, ეს რა აწერია?

კიტოვანი. რა ვიცი, რა სწერია. „ტანია“ და რაღაც ციფრები, ეტყობა, ვიღაცას ფინანსთა მინისტრობა დაუწყია (გაიცინა პატიმარმა).

ლევანი. განა, ნაწერი არ გეცნობათ?

კიტოვანი. მეე?

ლევანი. ჰო, თქვენ.

კიტოვანი. რა თქმა უნდა არა, ეგეთ ხალხთან საქმე არა მაქვს.

ლევანი. (ფურცელი ამოილო, რომელზედაც ორი სიტყვა იყო დაწერილი და კიტოვანს გაუწოდა). ეს ნაწერი თქვენია?

კიტოვანი. მერე რა, რომ ჩემია, ეს ხომ თქვენ თვითონ და-მაწერინეთ.

ლევანი. მაში, კარგად დააკვირდით, ფულზე და თქვენს მიერ ჩემი თხოვნით ამ ქალალზე დაწერილ რუსულ სიტყვაში „ტანია“, ორივეგან ერთი და იგივე შეცდომაა დაშვებული.

კიტოვანი. მერე ეგ მე რაში მეხება?

ლევანი. საინტერესოა?

კიტოვანი. რა არის საინტერესო?

ლევანი. თქვენი ქცევა. სირაქლემა გაგიგონიათ ვახტანგ?

კიტოვანი. მერე რა!

ლევანი. ის, რომ თუ სირაქლემა გაგიგონიათ, იქნებ ისიც იცით, ამ ცხოველს ერთი მეტად სულელური ჩვევა რომ აქვს.

კიტოვანი. სულელური ჩვევა?

ლევანი. ჰო, სულელური, როცა მონადირეები დაედევნებიან. თავს ფრთის ქვეშ მალავს და ასე ჰგონია, მდევარი მოვატყუეო.

კიტოვანი. მერე მე რაში მეკითხება თავს მალავს თუ ტრაკს?

ლევანი. თქვენც ასე იქცევით, თუმცა სირაქლემაზე მეტი მოგეთხოვებათ.

კიტოვანი. აბა, ეგეთები არ იყოს, მე სირაქლემა არა ვარ.

ლევანი. სირაქლემათა საბედნიეროდ, მაგრამ დავუპრუნდეთ საქმეს. მაშ ეს ნაწერი არ გეცნობათ?

კიტოვანი. არა მეთქი!

ლევანი. კეთილი. გამოდის, რომ ექსპერტი შეცდა. (გა-
მომძიებელმა დინჯად ჩაიკითხა ექსპერტის დასკვნა)
„50 მანეთიან ბანკოტის ფოტოასლზე არსებული
რუსული წარწერა „ტანია“ შესრულებულია ვახტანგ
ილარიონის ძე კიტოვანის, იგივე გიგლა გაიოზის ძე
კვალიაშვილის მიერ“. რას იტყვით?

კიტოვანი. ამას ექსპერტი წერს?

ლევანი. ცხადია, ექსპერტი, ექსპერტი კალიგრაფი.

კიტოვანი. მაშ ეგ ექსპერტი კი არა, ტუტუცი ყოფილა.

ლევანი. ჯიუტობას აზრი აღარ აქვს კიტოვანო.

კიტოვანი. ეგ საკენკი სხვას დაუყარე, მე კი შემეშვი. აგიტა-
ციით საკენკს კი არა, მწვადს აღარ ვჭამ.

ლევანი. მაშ, არ გინდათ აღიაროთ?

კიტოვანი. რაც გამიკეთებია, მითქვია, სხვის საქმეს კი ტყუი-
ლად ვერ მაკისრებინებ, გაიგეთ, ვერ მაკისრებინებთ-
მეთქი! (ბრაზობს).

ლევანი. კიტოვანო, თქვენ პირველად არ ზიხართ და უეჭველად
გესმით, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ხართ მოქ-
ცეული. იმის შემდეგ რაც თქვენ აღიარეთ, სისულე-
ლეა წვრილმანების უარყოფა, ეს არაფერს მოგცემთ.
სჯობს ბოლომდე მიიყვანოთ დაწყებული საქმე.

კიტოვანი. მე არ ვჯიუტობ, გითხარით, რომ ბინა გავქურდეთ.
ტყეშელიაძე მე არ დამიჭრია, ნაქურდალი ნივთები და
ობლიგაციები გავასუხარეთ. მოწმეები თქვენ არ
გყავთ და ვერც დაიჭერთ, გაგიფრინდათ. ხოტოველი

ამ საქმეში არ ყოფილა, ჩარგიევს არ ვიცნობ, არც ვიღაც ბასკაკოვას. ვიკისრე ისიც, რომ ექიმი გრძელიძე მოვიტაცეთ. ვინც ჩემთან იყო, წავიდა, მის სახელსაც ვერ გაიგებთ, პუშკები ჩემი არ არის, ივანისელმაც დაგიდასტურათ. ჩემი რომ იყოს, მაინც ვერ გაიგებთ, ვინ მომცა. სხვა რა გინდათ, თავი დამანებები და საქმე დაამთავრე. ბარემ მისუდონ და მორჩა, საიდანაც მოვსულვარ, ისევ იქ წავალ.

ლევანი. ასე იოლად ვერ წავალთ.

კიტოვანი. მეტს ხომ ვერ ამკიდებთ, 15 წლის სროკზე მეტს ხომ ვერ მომცემთ.

ლევანი. ჩიკვაიძის მკვლელობა? ეგ რა დაგიჯდებათ, დაფიქრებულხართ?

კიტოვანი. მაგაზე იმან იფიქროს, ვინც მოკლა. ჩვენ არ გაგვიკეთებია, ვერ აგვიკიდებთ. სულ ერთია „სუდი“ ვერ დაგვიმტკიცებს.

ლევანი. უეჭველად დაგიმტკიცებთ, ეს არის რომ დროს წაგვართმევთ მეტს.

კიტოვანი. ხო და, როცა დაგვიმტკიცებთ, მაშინ ვიღაპარა-კოთ.

ლევანი. კეთილი, კეთილი, კიტოვანო. დღეისათვის კმარა, იმედი მაქვს მოიფიქრებთ და შემდეგ დაკითხვაზე მეტ გონიერებას გამოიჩენთ (მიუგო მინდელმა და მორიგე მილიციელი გამოიძახა). წაიყვანეთ პატიმარი (უბრძანა შემოსულ სერუანტს. კიტოვანი ზანტად წამოდგა, შეჩვეული კაცის იერით დაიწყო ხელები ზურგს უკან და და ნელა გავიდა კარებში. გამომძიებელი ჩაფიქრებული დარჩა და დასცექერის მაგი-დაზედ დაყრილ ქაღალდებს, უცბად კარი იღება და კარებში პოლკოვნიკ ბალანჩივაძე გამოჩნდა).

დავითი. გამარჯობა ლევან. როგორ ჩაფიქრებულხარ (გა-მომძიებელი უცბად გამოერკვა). ჩანს, ძალზე დაღ-

ლილხარ, ლევან, თუ ჩემი შემოსვლა ვერ გაიგე
(განაგრძო პოლკოვნიკმა და ხელი გაუწოდა).

ლევანი. გამარჯობათ, დავით ილიჩ, მართლაც ოდნავ დავი-
ღალე (გაიღიმა მინდელმა და მაგრად ჩამოართვა
გამოწვდილი ხელი).

დავითი. როგორ მიდის საქმე, არის რაიმე ახალი? (შეეკითხა
პოლკოვნიკი და სავარძელზე დაეშვა).

ლევანი. არის, დავით ილიჩ, დევიძის ბინაში შეპყრობილმა ბან-
დიტებმა ძირითადში აღიარეს დანაშაული.

დავითი. ჩარგიერი?

ლევანი. დღეს მისი მეტსახელი დავადგინე — „საშკა ჩერქეზი“.

დავითი. „საშკა ჩერქეზი“? მერედა, როგორ დაადგინე, ვინ ამხ-
ილა?

ლევანი. განზრახ არავინ, ისე კი ბალავაძე დამეხმარა.

დავითი. საკვირველია, როგორ მოახერხე?

ლევანი. საინტერესო შემთხვევაა (მინდელმა ცეცხლგამძლე
ყუთი გახსნა, საქმიდან ერთი ფურცელი ამოიღო და
პოლკოვნიკს გაუწოდა. ბალანჩივაძემ გაკვირვებით
ჩამოართვა, თვალი გადაავლო ტირე-წერტილებით
აჭრელებულ ორიოდე სტრიქონს, შემდეგ ფურცელი
მაგიდაზე დასდო).

დავითი. არაფერი მესმის! (ჩაილაპარაკა წყნარად).

ლევანი. მორზე, დავით ილიჩ. ამ ორ სტრიქონზე ბალავაძისა და
ივანისელის საუბარია ჩაწერილი მორზეს ანბანით.

დავითი. ეს როგორ?

ლევანი. სულ უბრალოდ. ბალავაძემ კაკუნის საშუალებით
მორზეს ანბანის გამოყენებით უთხრა ივანისელს „არ
გაბედო საშკა ჩერქეზის ხსენება, დაგვახრჩობს, არ
გაბედო“. „მესმის, ჩემგან ვერაფერს გაიგებენ“.

დავითი. დიდებულია. (თქვა პოლკოვნიკმა და გამომძიებელს
მაგრად ჩამოართვა ხელი). ყოჩალ ლევან, აი რას
ნიშნავს გონივრული მოსაზრება, ყოჩალ.

ლევანი. ეს კი დავადგინე, დავით ილიჩ, მაგრამ ოფიციალური ჩვენება ვერც ერთისაგან ვერ მივიღე. ასე რომ, ბან-დიტების აღიარება ჩარგიევის შესახებ მაინც არა გვაქვს.

დავითი. ეგ არაფერია, მთავარი ის არის, შენი ვერსია სწორი აღმოჩნდა და ჩარგიევს უსამართლოდ დაპატიმრებული ადამიანის სამოსელი შემოეცალა. ეს კი ცოტა როდია. ვფიქრობ, ჩარგიევზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მისი მეტსახელის დადგენა. მაშ ასე, დავაჯამოთ ფაქტები: ჩარგიევი ბანდის მეთაურია; ბანდიტებმა იციან, რომ მილიციის სამძებრო განყოფილებას მის შესახებ კომპმასალა არ მოეპოვება, ამიტომაც ასე გულმოდგინედ უარყოფენ ჩარგიევის მონაწილეობას საქმეში. რა თქმა უნდა, ამას შიშიც ემატება „ჩერქეზის“ წინაშე. ახლა მთავარია დავადგინოთ, ვინ არის ეს „საშკა ჩერქეზი“ და სად ეწეოდა თავის შავბნელ საქმიანობას? შეპყრობილი ბანდიტების ჩარგიევთან დამოკიდებულება თავისთავად მიუთითებს, რომ ის სისხლის სამართლის დამნაშავეთა წრეში საკმაოდ ცნობილი ბოროტმოქმედია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მას საქართველოში არ „უმოღვაწნია“, წინააღმდეგ შემთხვევაში რაღაც მაინც გვეცოდინებოდა მასზე.

ლევანი. სავსებით გეთანხმებით, სწორედ ამიტომ ლოგიკურია ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩარგიევი შესაძლოა მისი ნამდვილი გვარიც არ არის. მისი ნამდვილი ვინაობის დადგენა კი საკმაო დროს მოითხოვს, რომელიც ჩვენ არა გვაქვს.

დავითი. ჩარგიევი უნდა დარწმუნდეს, რომ გამოძიებამ მისი ზედმეტი სახელი სხვა ბრალდებულთა გამოტეხით და დანაშაულის სრული აღიარებით დაადგინა. თუ ეს შევძელით, მთავარი სიძნელე დაძლეული იქნება,

დანარჩენს თვით ჩარგიევი აღიარებს, ასეთია მათი სტილი. ჩარგიევის შემდგომი დაკითხვა კარგად მოფიქრებული გეგმით უნდა მოხდეს, ფსიქო-ლოგიური ფაქტორის წინა პლანზე წამოწევით, გეგმა ხვალ შევადგინოთ, ახლა კი დაისვენე, სახლში წადი!

8 საათისთვის თეატრთან გელით მეუღლესთან ერთად, პრემიერა მიდის, მარტო ქურდების დევნა არ კმარა, კულტურული გართობაც საჭიროა.

ლევანი. ბატონო დავით, გეგმა მოფიქრებული მაქვს და თქვენის ნებართვით ჩარგიევს დღესვე დავკითხავ და თეატრშიც გეახლებით.

დავითი. კეთილი ლევან, აპა წარმატებას გისურვებ (იგი ხელს ართმევს გამომძიებელს და ოთახიდან გადის).

ლევანი (ლილაკს აჭერს, შემოდის სერუანტი). მოიყვანეთ პატი-მარი ჩარგიევი.

სერუანტი. კეთილი (და გადის ოთახიდან. გამომძიებელი მაგი-დას უზის და ქალალდებს ჩაჰკისკუიტებს, უცბად კარი იღება და სერუანტს პატიმარი ჩარგიევი შემოჰყავს. ჩარგიევი კარებთან შეჩერდა, ზურგზე ხელებ-დაწყობილმა მშვიდად შეათვალიერა გამომძიებელი).

ლევანი. ახლოს მოდით! (პატიმარი რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა და მაგიდასთან გაჩერდა). დაჯექით! (პატი-მარი უხმოდ დაჯდა. გამომძიებელმა და პატიმარმა თვალი თვალში გაუყარა ერთმანეთს). ჩარგიევ, მე მგონი, დროა გავათავოთ კომედია, ვაღიაროთ ყოვე-ლივე, თქვენ უნდა გესმოდეთ, სიჯიუტეს ვნების მოტანა შეუძლია მხოლოდ.

ჩარგიევი. თუ ამ უაზრო საუბრისთვის ამომიყვანეთ, ტყუილად გარჯილხართ, მომწყინდა ერთი და იგივე კითხვებზე პასუხის გაცემა.

ლევანი. მით უკეთესი, გავათავოთ, ჯერ ტყეშელიაძისა და ჩიკვაძის მკვლელობის შესახებ გვიამბეთ, შემდეგ კი

ძველი საქმეებიც გავიხსენოთ, გეუბნებით, აზრი აღარ აქვს-მეთქი ჯიუტობას.

ჩარგიევი. არავითარი დანაშაული მე არ ჩამიდენია, არც ჩემი წარსულია რითიმე შებლალული, რამდენჯერ უნდა გითხრათ?

ლევანი. მაში, ისევ ამტკიცებთ, რომ მათე ჩარგიევი ხართ?

ჩარგიევი. დიახ და ძალიან მიკვირს, რატომ არ მოგწონთ ჩემი გვარი.

ლევანი. კეთილი, ასე იყოს, მაგრამ ჩვენ სხვა სახელიც გვინტერესებს. აი, ის ქურდებმა რომ შეგარქვეს.

ჩარგიევი. მე მოვითხოვ, შეწყვიტოთ ჩემი შეურაცხყოფა. აქ რაღაც გაუგებრობაა. ვიღაცაში გერევით.

ლევანი. საოცარია, მე კი სხვა მეგონეთ, სრულიად სხვა (წყნარად შენიშნა გამომძიებელმა).

ჩარგიევი. ვინ სხვა? (შეჰყვირა და თვალები ჩაუსისხლიანდა)

ლევანი. „ჩერქეზი საშკა“, „ჩერქეზი“ (ლითონივით ცივი ხმით წარმოსთქვა გამომძიებელმა).

ჩარგიევი. „ჩერქეზი“ (წამოიყვირა პატიმარმა და უეცრად დაჲკარგა მოგონილი სიმშვიდე, შემდეგ შლეგიანივით წამოიჭრება სკამიდან და აკანკალებული ხელით პაპიროსს წაეტანება).

ლევანი. მშვიდად ჩარგიევ, თქვენი თამაში დამთავრდა. (ჩარგიევი მოწყვეტილი დაეშვა სკამზე, ხელებით მუხლებს დაებჯინა და ცდილობდა უნებურად ატეხილი კანკალი შეეჩერებინა. გამომძიებელმა წყალი დაასხა, უსიტყვოდ შესთავაზა. ჩარგიევმა არ დალია, ზედაც არ შეხედა ჭიქას, ისევ პაპიროსს მოუკიდა და ბოლი გადაყლაპა. შემდეგ სახეზე ხელი გადაისვა, სკამზე ერთბაშად შესწორდა, თვალები ააელვარა და საკმაოდ მკიცე ხმით წარმოსთქვა).

ჩარგიევი. დიახ. ჩემი თამაში დამთავრდა! „ჩერქეზმა“ დაამთავრა თამაში. მაჯობეთ, მაგრამ მინდა ვიცოდე, ვინ

ჩამაგირავა, ვინ გამცა, შემდეგ კი ყველაფერს გიამბობთ, რადგან აზრი აღარ აქვს. სულ ერთია. ვინ გამცა-მეთქი? (ბრაზიანად გაიმეორა ჩარგიევმა).

ლევანი. რაკი ასე გაინტერესებთ, თითებზე დაიხედეთ და თვითონვე მიხვდებით, ვინც გაგცათ.

ჩარგიევი. რა შუაშია აქ ჩემი თითები? (ხელებზე დაიხედა).

ლევანი. თქვენი ფრჩხილები... გლეხურად მოირთეთ, სახეც გრიმში დამალეთ, მაგრამ ფრჩხილებმა, დაკვნეტილმა ფრჩხილებმა გაგცათ. ქირურგი გრძელიძე არც ისე მიამიტი აღმოჩნდა, თქვენ რომ გეგონათ.

ჩარგიევი. (ხელები გადმოაბრუნა და დაკვირვებით დახედა დაკვნეტილ ფრჩხილებს) მაშ ექიმს უნდა ვუმადლოდე ჩემს ჩავარდნას? (გაკვირვებულია).

ლევანი. რა თქმა უნდა, ექიმსაც... (გაეღიმა გამომძიებელს).

ჩარგიევი. მაგრამ სახელი „საშკა ჩერქეზი“, ამას ხომ ექიმი ვერ გეტყოდათ.

ლევანი. ცხადია, ვერა!

ჩარგიევი. მაშ, ვინ გითხრათ?

ლევანი. ვინც თქვენთან ერთად ჩაიდინა ბოროტმოქმედება.

ჩარგიევი. (აფთარივით აენთო თვალები) რომელმა გამცა?

ლევანი. ეხლა ეგ საინტერესო არ არის, გსურთ მოგვცეთ ჩვენება?

ჩარგიევი. (ბოროტად იღიმის) რა საკვირველია, ქურდებმა ერთ-მანეთის გაყიდვა დაიწყეს, ხოლო ექიმებმა გამომძიებლობა, სჩანს, ჩვენი საქმე მართლაც წასულია, მაგრამ ვაი მას, ვინც „საშკა ჩერქეზი“ ახსენა. მე მას...

ლევანი. საქმეს დაუბრუნდეთ, ჩარგიევ.

ჩარგიევი. მე მზად ვარ, რა გაეწყობა, მაჯობეთ.

ლევანი. მაშ დავიწყოთ. პირველ რიგში თქვენი ნამდვილი ვინაობა დაასახელეთ, თქვენ ხომ ჩარგიევი არა ხართ.

ჩარგიევი. რა თქმა უნდა, არც ვაპირებ ჩემი გვარის დამალვას.

ლევანი. კეთილი, დაასახელეთ თქვენი ნამდვილი გვარი.

ჩარგიევი. ინებეთ, ჩემი გვარი კოკოევია, ალექსანდრე სუმბათის-ძე კოკოევი. თბილისში დავიბადე, მშობლები ადრე დამეხოცა. 16 წლის ქურდების ბანდაში მოვხვდი და მას შემდეგ ამ საქმიანობას ვეწევი.

ლევანი. სად ცხოვრობდით მთელი ეს წლები?

ჩარგიევი. (ჩაფიქრდა) გეტყვით, ყველაფერს გიამბობთ: ორი წელი თბილისში ვინმე რუბენასთან, შემდეგ კი, როცა ჩვენი ბანდა გაანადგურეს, როსტოვში გავყევი რუბენას, იქაც ერთი წელი ვიცხოვრე, შემდეგ ხარკოვში, ბოლოს მოსკოვში. იქ დამიჭირეს, რუბენა კი მოკლეს. „საშკა ჩერქეზიც“ როსტოვში შემარქვეს.

ლევანი. რამდენჯერ ხართ ნასამართლევი?

ჩარგიევი. ორჯერ, ორჯერვე მოსკოვში, პირველად ერთი წელი მომცეს, მეორედ 8 წლით გამისტუმრეს.

ლევანი. სასჯელი მოიხადეთ?

ჩარგიევი. მოვიხადე, უკვე ექვსი წელია განვთავისუფლდი.

ლევანი. შემდეგ?

ჩარგიევი. შემდეგ ისევ მოსკოვში დავბრუნდი და ჩარგიევის გვარით ხარკოვს ვეწიე.

ლევანი. სად იშოვნეთ პასპორტი?

ჩარგიევი. ვიშოვე, ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ის იყო, რომ ეს პასპორტი სავსებით საიმედო გამოდგა. ერთხანს ვიყავი ხარკოვში, შემდეგ ტაშკენტში წავედი. იქ გავაგრძელე ჩემი საქმიანობა.

ლევანი. რა საქმიანობა?

ჩარგიევი. ქურდობა, ვთამაშობდი კიდეც.

ლევანი. თქვენ გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ მთელი ეს წლები ერთხელაც არ ჩავარდით?

ჩარგიევი. ვითომ რატომ არა? თქვენ მე ვიღაც ბაცაცა ხომ არ გგონივართ, ესეც არ იყოს, გარდა ორიოდე საიმედო ქურდისა, არავინ იცოდა ჩემი ვინაობა, არც მეტსახელი, მუდამ ვფრთხილობდი, მაინც გაუფრთხილებ-

ლობამ დამღუპა, კიტოვანმა და ბალავაძემ შემთხვევით გაიგეს ჩემი სახელი.

ლევანი. ვინ გაგაცნოთ კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი?

ჩარგიევი. უცნაურ კითხვას მაძლევთ, ჩვენ არავის წარდგენა არ გვჭირდება, მაშ რაღა ქურდები ვართ თუ ერთმანეთსაც ვერ მოვძებნით?

ლევანი. სად გაიცანით?

ჩარგიევი. ივანისელი ტაშკენტში, კიტოვანი და ბალავაძე კი თბილისში.

ლევანი. რა იყო თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

ჩარგიევი. არავითარი განსაკუთრებული მიზანი არ მქონია. ტანიამ წყალტუბოში წასვლა გადაწყვიტა და წამოვედი.

ლევანი. თბილისში გადაწყვიტეთ ტყეშელიაძის ბინის გაქურდვა?

ჩარგიევი. არა, ტყეშელიაძის ბინის გაქურდვა აზრადაც არ გვქონია, ეგ საქმე შემთხვევით წავილეთ.

ლევანი. მოყევით, რა პირობებში გაძარცვეთ ტყეშელიაძის ბინა?

ჩარგიევი. (გაიცინებს) სიამოვნებით, თუმცა ბევრი არაფერია მოსაყოლი. ქუთაისში სრულიად შემთხვევით ჩიკვაიძეს გადავეყარე, კიტოვანმა გამაცნო. ანზორი პოკერით იყო გატაცებული, რამდენჯერმე შევხვდი, გადავწყვიტე ანზორი ჩვენს წრეში ჩამეთრია. ორჯერ თუ სამჯერ განგებ წავაგე, შემდეგ კი კარტი ჩავუწყედა ნალდის გარდა 2000 მანეთი მოვუგე. ჩიკვაიძემ ვალის გადახდის მიზნით მისი ბიძის ბინის გაქურდვა შემოგვთავაზა. წინასწარ გვითხრა, სად იყო შენახული 25000 მანეთის 3% ობლიგაციები. შევთანხმდით — ანზორმა ფანჯარა ჩაურაზავი დატოვა, თვითონ კი სოფელში წავიდა, მისი აზრით, ყველაფერი ქურდებს დაბრალდებოდათ და ჩვენს ვალსაც პატიოსნად გადაიხდიდა.

სალამოს ქუთაისში ჩამოვედი, არაერთგზის ნაცადი ხერხი გამოვიყენე, გლეხურად მოვირთე და ჭაღარა პარიკი გავიკეთე. წინასწარ გაფრთხილებული კიტოვანი ადგილზე მანქანით მოვიდა. ბალავაძე და ივანისელიც მოიყვანა. გვიან ლამით ოთხივე წავედით საქმეზე. დანარჩენი თქვენც იცით. ჩიკვაიძის ბიძა შემთხვევით დაბრუნებულიყო თბილისიდან, გაიღვიძა, ივანისელს შეებრძოლა, დასჭრა კიდეც. იმანაც დანა მიარტყა და ფანჯრიდან გადმოვარდა.

ლევანი. შემდეგ.

ჩარგიევი. შემდეგ რა, დაჭრილი ივანისელი დევიძის ბინაში შევიყვანეთ. დევიძეს ჩემი შეთხზული ამბავი ვუამბეთ, ხოლო მეორე დღეს მისგან მალულად ბალავაძეც მის ბინაში მოვათავსეთ.

ლევანი. რისთვის მოჰკალით ჩიკვაიძე?

ჩარგიევი. შეიძლება თქვენ არ დაიჯეროთ, მაგრამ ჩიკვაიძეს სიკვდილი არც მიიფიქრია. ერთად-ერთი კაცი, ვისაც შეეძლო გარკვეული ცნობები მიეწოდებინა თქვენთვის, ტყეშელიაძის ბინის გაძარცვისა და თვით ტყეშელიაძის მკვლელობის შესახებ, ჩიკვაიძე იყო. ამიტომ გადავწყვიტე შიშქვეშ მყოლოდა იგი და იძულებული გამეხადა არაფერი ეთქვა. დავუდარაჯდი, ღამის 11 საათზე ჩიკვაიძე სახლიდან გამოვიდა, უკან გავყევი, ის მილიციის სამმართველოში მოვიდა. ორი საათი უცდიდი, როგორც იქნა გამოვიდა. ავედევნე, ერთბაშად მოვაბრუნე და შევაჩერე. ჩუმად, — გავაფრთხილე მე და ხელი წავავლე. „კიდევ რაღა გინდათ ჩემგან?“ — ძლივს ამოილელლულა. „რისთვის მოჰკალით ბიძაჩემი?“ — შემეკითხა ბრაზიანად. „ბიძაშენის მოკვლა ჩვენ ანგარიშში არ შედიოდა, თვითონ დაგვესხა თავს“. „ცრუობ, განზრახ მოკალით! ყველაფერს ვეტყვი გამომძიებელს, მკვლელე-

ბო, ბანდიტები“. ამ სიტყვებმა დამარწმუნა, რომ ანზორის ჯერ არაფერი უთქვია გამომძიებლისთვის და მტკიცედ გადავწყვიტე გამეჩუმებინა იგი. „შენ არავის არაფერს ეტყვი, ანზორ!“ — მივუგე მე. მის ხელში დანამ გაიელვა, წამით დავასწარი, ხელი ჩავჭიდე, ძალა მოვიკრიბე, მარცხენას მარჯვენა შევაშველე და ღონივრად დავიქწიო. ჩიკვაიძე დაბარბაცდა. ამით ვისარგებლე, სწრაფად გამოვკარი სარმა. ანზორი მოწყვეტით დაეცა ცემენტის იატაკზე, მეც თავი ვერ შევიმაგრე და მთელი სიმძიმით დავეცი წაქცეულს. უეცრად ჩიკვაიძე მოეშვა, ერთბაშად მოუდუნდა დაჭიმული მარჯვენა და ხრიალი აღმოხდა, გულალმა გადმოვაბრუნე და დავინახე, რომ დანა ტარამდე ჰქონდა მკერდში გაყრილი. მე სწრაფად გავშორდი იქაურობას.

ლევანი. შემდეგ.

ჩარგიევი. შემდეგ არაფერი. დანარჩენი თქვენც იცით.

ლევანი. სად არის ნაძარცვი ნივთები და 3% ობლიგაციები?

ჩარგიევი. არ ვიცი, ხოტოველს ჰკითხეთ. ეხლა კი გთხოვთ ციხეში გადამიყვანოთ. არ მიყვარს მილიციის საკანში ჯდომა. ციხეში მირჩევნია (მწარედ გაიღიმებს პატიმარი).

ლევანი. კმარა დღეისათვის, ციხეში მაშინ გადაგიყვანთ, როდესაც საჭიროდ დავინახავთ. გაიყვანეთ პატიმარი. (პატიმარი გაყავთ და რამოდენიმე ხანში კარებში პოლკოვნიკი ბალანჩივაძე გამოჩნდა).

დავითი. როგორ არის საქმეები, ლევან (გამომძიებელი წამოდგა და უპასუხა).

ლევანი. კარგად, ბატონო დავით. ჩარგიევმა გაიგო თუ არა მისი ზედმეტი სახელი „საშკა ჩერქეზი“, მოტყდა და დანაშაული აღიარა. მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ ჩარგიევმა ასე ადვილად აღიარა ყოველივე.

დავითი. ჩემი აზრით, აქ საკვირველი არაფერია, როგორც ვარაუდობდით, „საშკა ჩერქეზის“ ხსენებამ დაარწმუნა ცრუ ჩარგიევი, რომ თამაში წაგებული იყო და ამიტომ ალიარა ყოველივე. ეს ძეელი ქურდი-რეციდივისტების სტილია. (ტელეფონი რეკავს, გამომძიებელი ტელეფონს იღებს).

ლევანი. გისმენთ! (სახე შეეცვლება) რაო?! მერე თქვენ სად იყავით, დღისით, მზისით? (იყვირა მან ბრაზიანად, ყურმილი გამეტებით დაახეთქა).

დავითი. რა მოხდა, ლევან (შესძახა ბალანჩივაძემ).

ლევანი. ციხის თანამშრომლების სიბრიყვე! ეზოში სასეირნოდ გაყვანილი ჩარგიევი გაიქცა!

დავითი. გაიქცა? (პოლკოვნიკი ტელეფონს ეცა). ჩქარა მანქანა (შეჰერია მან).

ლევანი. საჭირო არ არის! (შეაჩერა გამომძიებელმა) გაქცეული ჩარგიევი დასჭრეს და მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოშია მიყვანილი.

დავითი. ცოცხალია?

ლევანი. ცოცხალია, უგონოდ არის. ასე სთქვა ციხის უფროსმა.

დავითი. მაშ, ნულარ ვაგვიანებთ, წავიდეთ. (ისინი გადიან ოთახიდან).

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

სცენა №2

საავადმყოფოს პალატა. პალატის ერთ კუთხეში საწოლი დგას, მასში პატიმარი წევს, მას წვეთოვანი უდგას. გვერდზე, საწოლთან ახლოს, სკამი და პატარა მაგიდა დგას, იქვეა

ნამლების კარადა. მეორე კუთხეში დგანან მიღიცის უფროსი პოლკოვნიკი დავით ბალანჩივაძე, გამომძიებელი ლევან მინ-დელი და პოლკოვნიკის რძალი, ექიმი ციალა ბარათელი. იგი ახალგაზრდა შავგრემანი ტანწერნეტა ქალია, რომელიც ექიმის თეთრ ხალათშია გამოწყობილი.

დავითი. რას იტყვი, ციალა? როგორია დაჭრილი პატიმრის მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ, რომელიც შენ ჩაუტარე.

ციალა. (ხელები შეიმშრალა, პირსახოცი სანიტარს გადასცა) მძიმე მდგომარეობაა, თვითონ ჭრილობა არ არის სასიკვდილო, მაგრამ გული აქვს ცუდად (მიუგო მოწყენილად).

ლევანი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის გადასარჩენად, ჩარგიევი არ უნდა მოკვდეს.

ციალა. მე გააფრთხილება არ მინდა, ამხანაგო ლევან, სიკვდილის ხელიდან ადამიანის გამოგლეჯა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩემი მოვალეობაა. მაგრამ აქ მეტად მძიმე მდგომარეობაა, შეიძლება გონიეც ვერ მოვიდეს, ისე დაიღუპოს ავადმყოფი. მერე და რა მშვენიერი ვაჟკაცია, უბედური! (ნყნარად ჩაილაპარაკა ექიმმა ბარათელმა). ვინ იცის, მასაც ყავს ცოლი, შვილები, ახლობლები, აფსუსი არ არის ასეთი ვაჟკაცი ამგვარი სიკვდილით დაიღუპოს.

დავითი. ჩვენ წავალთ, ციალა. აქ ყოფნა ამჟამად არაფერს მოგვცემს. თუ ჩარგიევი გონს მოვიდეს, მორიგე ექიმი გააფრთხილეთ, რომ გამომძიებელს დაუ-რეკოს.

ციალა. მე ავადმყოფს ვერ მოვშორდები, ახლა ჩემი ადგილი აქ არის. მამა (მოუბრუნდა ციალა პოლკოვნიკს), ნუ დამელოდებით, ილიას უთხარი დამირეკოს. რაც შეეხება დაჭრილს, გონიეც რომ მოვიდეს, მასთან

საუბრის ნებას მაინც ვერ დაგრთავთ, ის ჯერჯე-
რობით სიკვდილის სარეცელზე წევს.

დავითი. გასაგებია, ციალა, მაგრამ ვინ იცის, მაინც იქონიე
მხედველობაში (გამომძიებელი და პოლკოვნიკი
გადიან ოთახიდან. ექიმი ავადმყოფთან მიდის და
მაჯას უსინჯავს, დაჭრილი უცბად დაიკვნესებს).

ციალა. მათე, აბა შემომხედე, მათე. (ავადმყოფი კვნესის და
ნელ-ნელა თვალს ახელს). როგორ ხარ, მათე? აბა,
ჩემსკენ მოიხედე, მითხარი რამე. (პატიმრის თვალები
უფართოვდება და დიდხანს შესცეკრის ექიმს მდუ-
მარედ და დაიკვნესა). ვაიმე, საადლაც მინახავს ეს თვა-
ლები. (პატიმარი ილიმის, ექიმი წყალს ალევინებს).

ჩარგიევი. სად ვარ?

ციალა. საავადმყოფოში, ახლა კარგად ხართ, მალე სულ კარ-
გად იქნებით.

ჩარგიევი. თქვენ, თქვენ ვინა ხართ?

ციალა. მე ექიმი ვარ, ციალა ბარათელი, თქვენი მკურნალი
(ექიმი ნაჭრით დაოფლილ შუბლს უწმინდავს პატი-
მარს).

ჩარგიევი. ციალა-ციალა... ჰოო, ალბათ სიზმარში ვარ, ალბათ
მძინავს.

ციალა. რა მოგივიდათ, მათე?

ჩარგიევი. მე... მე... არაფერი... ვკვდები, ციალა (ამოილაპარაკა
ძლივს).

ციალა. რა სისულელეს ლაპარაკობთ, მათე. თქვენთან სიკვ-
დილს რა უნდა.

ჩარგიევი. არ მინდა ნუგეში, ვიცი ჩემი სიცოცხლის საათები
დათვლილია. მიხარია კიდეც... არც მთლად უბედური
ვყოფილვარ, მეც შემხვდა პატარა ბედნიერება...
თუმცა სიკვდილის წინ, მაგრამ მაინც შემხვდა...
ექიმო, თქვენ გჯერათ სასწაული? არა? მე კი მჯერა.
თუ აქამდე ეჭვი მეპარებოდა, ახლა მწამს.

ციალა. ლაპარაკი გავნებთ, თქვენ ახლა უნდა დაიძინოთ!

ჩარგიევი. ჰო... უნდა დავიძინო... სამუდამოდ უნდა დავიძინო
ექიმო, მაგრამ არა ახლა, მე კიდევ ვიცოცხლებ რამ-
დენიმე საათს თუ, თუ თქვენ არ მიმატოვებთ, შეიძ-
ლება? (პატიმარს ცრემლი ერევა თვალებში).

ციალა. მე აქ ვიქნები, არსად წავალ, ოღონდ დამშვიდდით,
მღელვარება გაწყენთ.

ჩარგიევი. თქვენ ძალიან, ძალიან კეთილი ხართ, ექიმო. თქვენ
იცით მე ვინა ვარ?

ციალა. მე ვიცი, რომ თქვენ ადამიანი ხართ, სხვა არ მეხება.

ჩარგიევი. არ გეხებათ! მე ხომ ქურდი ვარ, ძველი ქურდი, იცით
რამდენი სიავეკუ ჩამიღენია?

ციალა. ლაპარაკი გავნებთ, გთხოვთ გაჩუმდეთ! (ავადმყოფი
გაჩუმდა, ექიმი წამოდგა და წასასვლელად მოემზა-
და). ცოტა ხნით დაგტოვებთ, ეცადეთ დაიძინოთ.

ჩარგიევი. არა, ნუ წახვალთ... ან არადა, წადით, წადით, მხო-
ლოდ ეს მითხარით, გამომძიებელი იყო, მნახა?

ციალა. არა, ... ჰო, დიახ – იყო. მაგრამ ვიდრე მთლიანად არ
გამოჯანმრთელდებით, არ მოვა. მე აუკრძალე.

ჩარგიევი. (მწარედ ეღიმება) თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს,
ექიმო, აღმითქვით, რომ შემისრულებთ.

ციალა. რა გსურთ?

ჩარგიევი. ახლავე დაუძახეთ გამომძიებელს, უეჭველად მოიყ-
ვანეთ, მე მასთან დიდი, ძალიან დიდი საქმე მაქვს.

ციალა. ხვალ დაურეკავ.

ჩარგიევი. ხვალ უკვე გვიან იქნება, დღეს, ახლავე მინდა რომ
დაუძახოთ (დაუინებით გაიმეორა ავადმყოფმა და
მუდარით შეხედა ექიმს).

ციალა. კარგი, ახლავე დაურეკავ.

ჩარგიევი. გმადლობთ, ექიმო. მხოლოდ იჩქარეთ, თორემ დააგ-
ვიანებთ, გამომძიებელი აღარ მომისწრებს. (ექიმი
მიღის ტელეფონთან და ურეკავს გამომძიებელს).

ციალა. (იღებს ყურმილს) გამომძიებელი ლევან მინდელი ბრძანდებით? ახლავე, ამ წუთში მოდით საავად-მყოფოში, პატიმარი თქვენს სასწრაფოდ ნახვას თხოულობს. (შემდეგ ექიმი ავადმყოფთან მიღის, მაჯას უსინჯავს და ოფლს წმენდს შუბლიდან. მალე ოთახში გამომძიებელი ლევან მინდელი შემოდის. ის ავადმყოფს მიუახლოვდა. ავადმყოფმა თვალი გაახილა და ექიმს უთხრა).

ჩარგიევი. მადლობთ. (ექიმი პალატიდან გადის და ექთანთან ერთად შემოდის, რომელიც კანქვეშ ავადმყოფს გულის საშუალებას შეუშხაპუნებს). დაბრუნდით, ბატონო ლევან? (გამომძიებელმა თავი დაიქნია). გმადლობთ, რომ მოხვედით... ასეც ველოდი... თუმცა თქვენ ხომ ყველაფერი იცით და „საშკა ჩერქეზის“ ჩვენება ალბათ ალარც გჭირდებათ.

ლევანი. მე დასაკითხად არ მოვსულვარ, ჩარგიევ.

ჩარგიევი. ვიცი... ჩემი თხოვნით მოხვედით, მე თვითონ მინდოდა თქვენი ნახვა. სიკვდილის წინ მინდა რაღაც გითხრათ, ბევრი რამ გითხრათ, მაგრამ...

ლევანი. მე გისმენთ, მათე. თუ ექიმი ნებას დაგრთავთ.

ჩარგიევი. ჩემი ექიმი კეთილი ადამიანია, ის უარს არ მეტყვის, მაგრამ მე მინდა მხოლოდ თქვენ მომისმინოთ, არ მინდა სხვა დაესწროს ჩვენს საუბარს, მით უმეტეს ციალა, ქალბატონი ციალა.

ციალა. თქვენ სუსტად ხართ, მათე, საუბარი დაგლლით, უდნა დაიძინოთ.

ჩარგიევი. გმადლობთ, კეთილო ქალო, მე რამდენიმე საათი კიდევ ვიცოცხელებ, ახლა კი გთხოვთ, მარტო დამტოვოთ ბატონ ლევანთან, ძალიან გთხოვთ, ნუ მეტყვით უარს.

ციალა. კარგი (ხმა აუკანკალდა ბარათელს), მხოლოდ მე აქ ვიქნები ახლოს: თუ საჭირო იქნება...

ჩარგიევი. დაგიძახებთ ექიმო, ბატონი ლევანი შეგატყობინებთ თუ ცუდად გავხდი. (ექიმი გადის ოთახიდან, პატი-მარი და გამომძიებელი მარტო დარჩნენ).

ჩარგიევი. მითხარით, ეს ჩემი ექიმი, ქალბატონი ციალა, დიდი ხანია ქუთაისში ცხოვრობს?

ლევანი. ხუთი წელია.

ჩარგიევი. ხუთი წელი? ბედნიერია არა? ო, ეს მე ძალიან, ძალიან მიხარია. ტყვიით დაჭრილს მან გამიკეთა ოპერაცია... რამდენიმე საათის სიცოცხლე მაჩუქა, რა იცოდა, თუ ამით ისეთ ტანჯვას მომაყენებდა, რაც მთელს ჩემს სიცოცხლეს აიწონიდა, თუმცა არ ვნანობ, არც ბრალს ვდებ. მან ხომ... მაგრამ თავიდან დავიწყებ, თუ, სულთმხუთავმა დამაცალა, ყველა-ფერს გეტყვით, იქნებ უფრო დამშვიდებით გავემგზა-ვრო იმ ქვეყანას.

თქვენ ალბათ მიხვდით, მე არც ჩარგიევი-კოკოევი ვარ და არც მარკაროვი. ეს გვარები ყველა შერქმეულია, ყალბია... მე ქართველი ვარ, ქალაქ თბილისში დავიბადე, მამაჩემს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, რესპუბლიკაში ერთ-ერთ მსხვილ სპეციალისტად თვლიდნენ, დედაც ინჟინერ-მშენებელი იყო. იმ დროს, რომელსაც ჩემი ნაამბობი შეეხება, ორთავენი თბილისში მუშაობდნენ, საკავშირო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობაზე. მამა მშენებლობის უფროსად, დედა რიგით ინჟინრად. მე მათი ერთად-ერთი ვაჟი ვიყავი და ჩემი ბავშვობა ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ლამაზი პერიოდია ჩემი ცხოვრებისა.

მშობლები არაფერს მაკლებდნენ. ვსწავლობდი მუსიკას, უცხო ენას, ვეტანებოდი სპორტს და ყველაფრით უზრუნველყოფილი შევხაროდი სიცოცხლეს. არ მახსოვს ერთხელ მაინც დავესაჯე სკოლაში, ყველა საგანში „ფრიადი“ შეფასება მქონდა. ყველანი

ბედნიერი ვიყავით, მშობლები შემოგვხაროდნენ მე და ჩემს პატარა დას, ეკას. ის ჩემზე 9 წლით უმცროსი იყო და ყველას ნებიერად ითვლებოდა. ახლაც თვალ-ნინ მიღვას თვალებფოფინა ნაწნავებიანი და მუდამ მოღიმარი გოგონა.

1938 წლის იანვარი ჩემს მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება. არა იმიტომ, რომ ყოველი წლის 10 იანვარს ჩემთვის ახალი სიხარული მოჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი დაბადების დღის უკანასკნელი ზეიმი, რასაც შემდეგ მთელი რიგი უბედურებანი მოჰყვა.

ეს დღეც ისე დაიწყო ჩემთვის, როგორც ყველა გასული წლების 10 იანვარი: დედა და ჩვენი ოჯახის ერთად-ერთი ნათესავი – დეიდა თამარი მეზობელი ქალების დახმარებით დილიდანვე შეუდგნენ საზეიმო სუფრისათვის მზადებას.

სცენა №3

დიდი სასადილო ოთახი. ოთახის ერთ კუთხეში დიდი ძველებური ბუფეტი დგას ჭურჭლითა და სანოვაგით, შუა ოთახში დიდი მაგიდა, რომელზეც ნაირ-ნაირი საჭმელები დევს. ოთახის მეორე კუთხეში წიგნის თაროებია, ოთახის ერთ კედელზე ძველებური საათი კიდია ქანქარით, მეორე კედელზე სტალინის დიდი სურათი. ოთახში მხიარულობა სუფევს. ორი ქალი საზეიმო სუფრას შლის, მათ პატარა 8 წლის გოგონა ეხმარება. უცბად ოთახში 17 წლის ახალგაზრდა ვაჟი თამაზი შემოდის.

თამაზი. დედიკო, ეს რა ლამაზი სუფრა გაგიშლიათ.

დედა. აბა, ჩემო თამაზი, 10 იანვარი როგორ გამოგვრჩებოდა, დღეს ხომ შენი დაბადების დღე არის, ჩემო ძვირფასო.

(იგი მიდის და შვილს კოცნის. უცბად კარზე ზარის ხმა ისმის). წადი გააღე შვილო, ალბათ შენი ამხანაგები მოვიდნენ. (თამაზი კარს აღებს და სახლში გოგო-ბიჭების მხიარული ურიამული ატყდა, თანაკლასელები თამაზის ხელს ართმევენ, საჩუქრებს აძლევენ და ულოცავენ დაბადების დღეს, მათ შორის არის ცია-ლაც, თამაზის შეყვარებული, ისიც მიდის და თამაზის ხელს ჩამოართმევს).

ციალა. გილოცავ, თამაზ დაბადების დღეს, აი, აიღე ჩემგან საჩუქრად (მან იები და წიგნი გაუწოდა).

თამაზი. გმადლობთ, ციალა. (უცბად კლასელები შემოესივნენ წყვილს და ყველამ სიცილით ციალას სთხოვეს ეკოც-ნა თამაზისთვის).

თანაკლასელები. (ერთხმად) ციალა აკოცე, აკოცე, აკოცე.

თამაზი. კოცნის მაგივრად სჯობს მეცეკვო ციალა, აბა დაუკარით (იგი ხელს ჩაჰვიდებს ციალას და ვალსის ცეკვას იწყებენ, მას დანარჩენი კლასელები მიბაძავენ. უცბად ზარის ხმა ისმის, კარი იღება და ოთახში თამაზის მამა, ბატონი რევაზი შემოდის თავის მეგობრებთან ერთად. იგი თამაზისთან მიდის, ჯიბიდან კოლოფს იღებს და თამაზის ეუბნება).

რევაზი. ჩემო შვილო, გილოცავ დაბადების დღეს. აი ეს საათი შენ და გთხოვ იცოდე დროს ფასი, რადგან დაკარგულ დროს ვეღარასოდეს აღიდგენ.

თამაზი. გმადლობთ მამა.

რევაზი. აბა, ჩემო ძვირფასებო, მოდით მაგიდას შემოუსხდით და შევსვათ თამაზის სადლეგრძელო (ყველა მაგიდას შემოუსხდება და თამაზის სადლეგრძელოს სვავენ).

ეკა. (თამაზის და, მიდის თამაზისთან და ეუბნება) ჩემო ძვირფასო ძამიკო, მეც მოგიმზადე საჩუქარი. აი, ნახე (და იგი თავის ნაქარგს აძლევს თამაზის).

თამაზი. ეს რა კარგად ამოგიქარგავს გული და წარწერაც არის

„მიყვარხარ თამაზ“. გმადლობთ, ჩემო დაიკო (იგი გადაკოცნის თავის დას. გრძელდება სიმღერები და ცეკვა. ციალა და თამაზი ცეკვავენ, შემდეგ ფანჯარასთან მივლენ. ახალგაზრდები კი პიანინოს დაკურაში ერთმანეთს ეცილებიან). ციალა, ნახე, რა შესანიშნავად თოვს გარეთ.

ციალა. არასოდეს დამავიწყდება 10 იანვარი, ეს შესანიშნავი სალამო და თბილისი ჩაფლული თოვლში. ახლა კი უკვე გვიანაა, თამაზ, უნდა წავიდე. მშობლები მელოდებიან, არ მინდა დავაგვიანო. კარგად იყავი, თამაზ. (იგი კოცნის თამაზის და შემდეგ თამაზი აცილებს ციალას კარამდე, სხვებიც შეუერთდებიან ციალას და კლასელები ემშვიდობებიან თამაზის და ერთად გადიან ოთახიდან. მამის ამხანაგიც ადგება და სადღე-გრძელოთი ერთხელ კიდევ დალოცავს თამაზის და ოჯახს, შემდეგ უფროსებიც ტოვებენ ოჯახს და ემშვიდობებიან ყველას. დალლილი თამაზი და მისი და ეკა სწრაფად იძინებენ. მშობლებიც მიალაგებენ სუფრას და ისინიც იძინებენ. შუა ღამეს კარებში ბრა-ხუნის ხმა ისმის. კარებს ოჯახის უფროსი რევაზი აღებს. ოთახში ოთხი უცნობი მამაკაცი შემოდის. ერთს შავი კოსტიუმი აცვია, დანარჩენები სამხედრო ფორმაში არიან).

უცნობი. თქვენ ხართ რევაზ გელოვანი?

რევაზი. დიახ, რაშია საქმე?

უცნობი. (ჯიბიდან საბუთს იღებს და რევაზის აჩვენებს) ბინა უნდა გავჩხრიკოთ.

რევაზი. კი ბატონო, გაჩხრიკეთ, მაგრამ მე მგონი აქ რაღაც გაუგებრობაა.

უცნობი. ამას მალე გავარკვევთ. (თამაზის გაეღვიძება და შეშინებული მამასთან მიდის).

თამაზი. მამა, მამიკო! რა მოხდა?

რევაზი. არაფერია, შვილო, არაფერი. ნუ შეგეშინდება.

შავკოსტიუმიანი უცნობი. არაფერია, ბიჭიკო, ნუ ღელავ, პატარა ხომ არა ხარ (დანარჩენი უცნობები ოთახს ჩხრეკენ. მთავარი უცნობი შავ კოსტიუმში გამოწყობილი მაგიდას მოუჯდა და რაღაცის წერას იწყებს).

უცნობები. (ოთახი გაჩხრიკეს და შავკოსტიუმიანს მოახსენეს) არაფერი არ არის.

შავკოსტიუმიანი უცნობი. გთხოვთ ჩაიცვათ! (მიმართა თამაზის მშობლებს რევაზს და მარინეს).

რევაზი. კი, მაგრამ, მე მგონი აქ რაღაც გაუგებრობაა.

შავკოსტიუმიანი უცნობი. შესაძლებელია, ბატონო რევაზ. ეს ალბათ მალე გამოირკვევა, თუნდაც მარტო იმისათვის, აუცილებელია თქვენი წამოსვლა. (ფეხზე დგება. თამაზი ტირილს იწყებს და დედასთან მიდის, მოეხვევა და სახეს მის მკერდში ჩამალავს. დედა კოცნის).

მარინე. (თამაზის დედა) შვიელბო, ჩემო შვილებო.

შავკოსტიუმიანი უცნობი. აბა, ეს რა საქციელია, ბიჭიკო. აკი ვთქვი, აქ რაღაც გაუგებრობაა-მეთქი. დაწყნარდი, შენი მშობლები ხვალ უთუოდ დაბრუნდებიან. თქვენც არ გეპატიებათ ასეთი საქციელი (მიუბრუნდა იგი მარინეს). ბავშვს გულს რატომ უხეთქავთ, ყველაფერი გამოირკვევა, არ არის საჭირო ცრემლები.

რევაზი. (მიმართავს შავკოსტიუმიანს) თუ შეიძლება, ერთი თხოვნა მაქვს. (თანხმობის ნიშნად უცნობი თავს უქნევს). ჩემს გოგონას სძინავს, ნება მოგვეცით მე და ჩემს მეუღლეს, ბავშვს გამოვემშვიდობოთ.

შავკოსტიუმიანი უცნობი. რა საკვირველია, მიბრძანდით გამოემშვიდობეთ, ჩვენ აქ დაგიცდით. (თამაზის დედმამა მძინარე ეკასკენ გაემართნენ, ორი უცნობი მათ უკან გაჰყვა. ისინი მძინარეს კოცნიან და ტირიან. თამაზი იცვამს და წასასვლელად ემზადება მშობლებთან ერთად).

შავკოსტიუმიანი უცნობი. შენ საით, ბიჭიკო?

თამაზი. როგორ თუ საით, მშობლებს გამოვყვები.

შავკოსტიუმიანი უცნობი. ეგ გამორიცხულია! იქ თქვენ ვერ წაგიყვანთ!

რევაზი. შენ არ წამოხვალ, თამაზ! ეს საჭირო არ არის და არც შეიძლება! მე მგონია, ჩვენ მალე დავბრუნდებით, ხოლო თუ დაგვაგვიანდეს ან... (მას ენა ებმის) ან ვერასოდეს დავბრუნდეთ, მხოლოდ ორ რამეს გავალებ, — გახსოვდეს, რომ შენ და ეკა პატიოსანმა მშობლებმა გაგზარდეს, ადამიანებმა, რომლებსაც არაფრით შეუბლალავთ სინდისი, მთელი შეძლებით ემსახურებოდნენ ხალხს და თავიანთი წვლილი შეპ-ქონდათ საერთო საქმეში. რაც არ უნდა მოხდეს, მტკიცედ იყავით დარწმუნებული, რომ მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის და თქვენც — შენ და ეკას — არასოდეს შეგრცხვებათ ჩვენი წარსულით. ეს ერთი. (შეისვენა). თამაზ, შენ უკვე ვაჟკაცი ხარ, ჭკუა გეკითხება, ეკა კი პატარაა. მოუარე მას, სათუთად მოეპყარი და თუ... ერთი სიტყვით, დარდი შეუმსუბუქე. მშვიდობით, ჩემო ბიჭიკო. (ამ სიტყვებით მამა მოეხვევა შვილს, რამდენჯერმე აკოცებს და სწრაფად გავა კარებში).

მარინე. მშვიდობით, შვილო, მშვიდობით ჩემო საყვარელო, თამაზ! თავს გაუფრთხილდი, გახსოვდეს შენი დედ-მამა და ეკას, ჩვენს ეკას მოუარე! ვაიმე, შვილებო, უბედურო შვილებო! (ეხვევა თამაზის, დიდხანს ყავს გულში ჩაკრული. თამაზი ტირის და კოცნის დედას. დედ-მამა ჩეკისტებს გაჰყავთ გარეთ. თამაზი მარტო რჩება მძინარე დასთან ერთად სახლში).

თამაზი. ყველაფერი გათავდა, ვეღარ ვნახავ, ვერც ერთს ვეღარ ვნახავ. (ყვირის არაადამიანური ხმით თამაზი და იატაკზე ემხობა პირქვე).

ეკა. (გაეღვიძა და თამაზის დაადგა თავზე ლამის პერანგში) თამაზ, აქ რად დაწოლილხარ?! უჰ, რა სასაცილო ხარ, ერთი დედას ვუთხრა! შენ რა, თამაზ, გიტირია? ვინ გაგაჯავრა? (იგი ეშვება ხალიჩაზე თამაზის გვერდით და ეფერება მას). ადექი, თორემ გავჯავრდები და მეც ვიტირებ! (თამაზის თმებში ხელი ჩაავლო, უცბად თამაზი ადგება, ეკას ხელში აიყვანს და გაშმაგებით კოცნის და თვალიდან ცრემლი ჩამოდის). რა მოგივი-და თამაზ?

თამაზი. არაფერი, გენაცვალე, არაფერი!

ეკა. გტკივა რამე?

თამაზი. ჰო, ჰო მტკივა, აი თავი მტკივა.

ეკა. წამალი უნდა დალიო, მოგირჩება, აი წავიდეთ დედიკოს-თან, წამალს მოგცემს. (იგი ხელს კიდებს თამაზის და დედის ოთახისკენ გაიწევა).

თამაზი. წამალი არ მინდა ეკა, ისედაც გაივლის. არ გრცხვენია, ასეთი დიდი გოგო ხარ და პერანგით კი დატანტა-ლებ...

ეკა. მე ახლავე ჩავიცმევ, შენ დედიკოს და მამიკოს ნუ ეტყვი. (თამაზი ფანჯარასთან მიდის და შუბლით მინას ეყრდნობა). თამაზ, მე უკვე ჩავიცვი, აბა შემომხედე!

თამაზი. აქ მოდი ეკა, რაღაც უნდა გითხრა. (ხელი მოჰკიდა და გვერდით დაისვა).

ეკა. რა უდნა მითხრა, უჰ, რანაირი ხარ დღეს თამაზ, იატაკზე გძინავს, ტირი, სულ არ ვარგიხარ, გებუტები. (წამოხ-ტება) მე დედასთან წავალ, მამიკოც მინდა, რატომ ძინავთ ამდენ ხანს?

თამაზი. მოიცა ეკა, დედა და მამა სახლში არ არიან, წუხელ ისინი... მივლინებაში წავიდნენ.

ეკა. მივლინებაში? ორივე ერთად? ნუ მატყუებ, დედიკო და მამიკო ერთად არასოდეს დადიან მივლინებაში.

თამაზი. არ დადიოდნენ, ეხლა კი წავიდნენ. შენი თავი მე

ჩამაბარეს, ჩემო გოგონა. ხომ ყველაფერს გამიგონებ? მამიკო ახალ კაბას ჩამოგიტანს, დედა კი დიდ თოჯინას, აი ასეთს, ძია ვარდენმა რომ მოგიტანა, განა არ გაგეხარდება?

ეკა. უჰ, რა კარგია (შემოკრა ტაში ეკამ და სიხარულისაგან შეხტა). შენ რატომ ტიროდი? დედიკოს და მამიკოს წასვლა გეწყინა?

თამაზი. ჴო ეკა, მეწყინა, ძალიან მეწყინა მათი წასვლა და ვიტირე.

ეკა. რა სულელი ხარ ბიჭო, ისინი ხომ მალე ჩამოვლენ, რა გატირებდა?

თამაზი. რა თქმა უნდა ჩამოვლენ ეკა, მანამდე კი ჭკვიანად უნდა იყო და ყველაფერი დამიჯერო.

ეკა. დაგიჯერებ, გოგლიმოგლსაც შევჭამ, კაკაოსაც დავლევ, კარგი? (უცბად საათმა დაკრა 9 საათი). ვაიმე, სკოლა? (იყვირა ეკამ და თამაზის შეხედა).

თამაზი. დღეს სკოლაში არ წახვალ, ეკა. დედამ ტელეფონით დაურეკა მასწავლებელს და გააფრთხილა, რომ ვერ მიხვალ.

ეკა. რატომ, მე ხომ ავად არა ვარ?

თამაზი. ასეა საჭირო, ძალიან ცივა ეკა, შედი გენაცვალე შენს ოთახში, მეც ახლავე მოვალ, შემდეგ ვისაუბროთ. (ეკა უსიტყვოდ გადის).

თამაზი. მოდი ეკა შევჭამოთ რამე? (იგი სახელდახელოდ გაკეთებულ საუზმეს მაგიდაზე დებს და ეკა მოდის მაგიდასთან და და-ძმა შეექცევა საჭმელს. უცბად კარებში ზარის ხმა ისმის, თამაზი წამოხტება და კარს აღებს, კარებთან თამაზის დეიდა თამარი დახვდა. იგი ნაღვლიანად ესაღმება თამაზის და შემოდის ოთახში). დეიდა თამარ, იცით, ჩემი მშობლები...

დეიდა. ვიცი თამაზ, ტელეფონით თქვენმა მეზობლებმა ამ დილას დამირეკეს.

თამაზი. ეკას მე ვუთხარი, რომ მშობლები მივლინებაში წავიდნენ.

დეიდა თამარი. გასაგებია (ისინი ოთახში შედიან, დეიდა ეკასთან მიდის და ეფერება). ჩემო ეკა, როგორ ხარ ძვირფასო?

ეკა. კარგად, დეიდა თამარ, ერთი ეგ მწყინს, რომ ჩემი მშობლები მივლინებით წავიდნენ ისე, რომ არ დამემშვიდობნენ.

დეიდა თამარი. არა უშავს ეკა, ისინი მალე დაბრუნდებიან და საჩუქარსაც მოგიტანენ. აი, მეც მოვიტანე ხილი (დეიდა თამარმა ეკას ხილი მიართვა და თამაზის მიმართა) თამაზ, სამზარეულოში გამომყევი, ყავა მოვადულოთ. (ისინი გადიან სასტუმრო ოთახიდან გვერდზე ოთახში).

თამაზი. დეიდა თამარ, გაიგეთ რამე?

დეიდა თამარი. (თვალზე ცრემლი ადგას) უბედური შენი მშობლები დააპატიმრეს... მძიმე ბრალდებას უყენებენ. (თამაზი სკამიდან წამოხტა, ხელები თმაში ჩაივლო).

თამაზი. არა მჯერა, ტყუილია, მამას არ შეეძლო, დედა არ იზამდა! ისინი შვილებს არ უმტრობდნენ, თქვენ ყველანი სტყუით, ცილს სწამებთ!

დეიდა თამარი. ჩუმად, შვილო. (პირზე ხელს აფარებს თამაზის). არსად წამოგცდეს ეს სიტყვები, რაკი დაიჭირეს, ალბათ დამნაშავენიც არიან.

თამაზი. დეიდა...

დეიდა თამარი. ჩუმად-მეთქი, ტყუილად არ იჭერენ, უსათუოდ რაღაც არის, შენ არ იცი, არც მე, იმათ კი იციან და იმიტომ დაიჭირეს. თუ უდანაშაულნი არიან, გამოუშვებენ, საქმის გამორკვევამდე კი მოითმინე და ფრთხილად იყავი, დამნაშავის ქომაგი თვითონაც დამნაშავეა, დიდი დამნაშავეა, გესმის?

თამაზი. დეიდა, თქვენ არ იცით, რა თქვა მამამ წასვლის წინ,

შენ ვერ იცნობ შემს მშობლებს! ისინი ამ სისაძაგლეს არასოდეს, გესმის, არასოდეს არ ჩაიდენდნენ.

დეიდა თამარი. დაწყნარდი, თამაზ, მე ხომ ჩემს მოსაზრებას არ გეუბნები, ეს თვით იმ ორგანოში მითხრეს, ვინც დააპატიმრა, ამ საკითხზე პროკურორსაც ვესაუბრე.

თამაზი. არა მეთქი, ტყუილია! აი ნახავ, ისინი შეცდნენ, უსა-თუოდ შეცდნენ.

დეიდა თამარი. ღმერთმაც ქნას, შვილო! ნეტამც ეგრე მოხდეს, მაშინ ბედნიერი ქალი ვიქნები, მაგრამ ჯერ ეს ასეა და ახლა ყვირილი კი არა, ჭკუა გმართებს, წინ უნდა გაიხედო, შენ ჯერ კიდევ არ იცი ყველაფერი.

თამაზი. მეტი რალა უნდა ვიცოდე?

დეიდა თამარი. მომისმინე, თამაზ, ყველაფერს გაიგებ. შენს დედ-მამას ასეული ათასობით მანეთის გაფლანგვას აბრალებენ, ბრალდება 7 აგვისტოს კანონით არის დაკვალიფიცირებული. ეს საშინელი დანაშაულია და მის ჩამდენს არ ებოდიშებიან, დამნაშავის მთელი ქონება კონფისკაციას ექვემდებარება. საჭიროა ძვირფასი ნივთების გადამალვა, ცხოვრება ხომ გინდათ?

თამაზი. ნივთები გადავმალო? რისთვის?

დეიდა თამარი. როგორ თუ რისთვის, აკი გითხარი ყველაფერს წაიღებენ-მეთქი.

თამაზი. თუ მამაჩემი გამფლანგველია, დედაჩემიც, ნივთებს რა თავში ვიხლი, რას ამბობ, დეიდა?

დეიდა თამარი. შენ ჯერ ისევ ბავშვი ხარ, თამაზ დამიჯერე!

თამაზი. არასოდეს! მამა და დედა დაბრუნდებიან! დე ყველაფერი ჩამოგვართვან, მე ქურდი არ გავხდები, მშობლების ნივთებს არ მოვიპარავ. არც დედა, არც მამა ამ საქციელს არ მომიწონებენ.

დეიდა თამარი. დამშვიდდი, თამაზ, მე ახლა წავალ, დილით ადრე შემოვივლი, მანამდე კი იფიქრე. ხვალ შეიძლება გვიანიც იყოს (იგი კარებისკენ გაემართა, თამაზიმ

ხმა არ გასცა). ეკა, მშვიდობით გენაცვალე (დეიდა ეკასთან მიღის და კოცნის). თამაზ, ბავშვი რაღაც ცხელი მეჩვენება (თამაზი მიღის ეკასთან).

თამაზი. რა მოგიყიდა ეკა?

ეკა. არაფერი, რაღაც შიშმა შემიპყრო.

დეიდა თამარი. დაწექი ეკა, მე კი საღამოთი ექიმს გამოგიგზავნით. (ეკას ლოგინში აწვენენ და იგი ჩაიძინებს). აბა, ყოჩაღად იყავით, მე საღამოს ექიმთან ერთად დავბრუნდები (იგი გადის ოთახიდან, კარზე ბრახუნის ხმა ისმის. თამაზი კარს აღებს და ოთახში ციალა შემოდის).

თამაზი. ციალა, გამარჯობა.

ციალა. გამარჯობა, თამაზ. სკოლაში რატომ არ დადიხარ, თამაზ (იგი ოთახში შემოდის და ხილით სავსე კალათას მაგიდაზე დგაამს). ეს ეკას მიართვი.

თამაზი. რა ვიცი, ეხლა სკოლისთვის არ მცალია.

ციალა. თქვენი ოჯახის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა სკოლაში, ძალიან ვწუხვარ თამაზ, ეკა სად არის?

თამაზი. ცოტა შეუძლოდ გახდა და დაიძინა. რა მოხდა, ციალა? რაღაც ნამტირალები თვალები გაქვს.

ციალა. ახლა მე შენზე უარეს დღეში ვარ, თამაზ! (ციალას ტირილი აუვარდება). ცოტა ხნის წინ მამაჩემი, რომელიც ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი იყო, დააპატიმრეს.

თამაზ, მე და დედას თბილისში ცხოვრება გაგვიჭირდება. გადავწყვიტეთ სოფელში წავიდეთ ბაბუასთან, დედაჩემის მამასთან... წინ უნდა გავიხედოთ, ცხოვრებას შევეჭიდოთ და თვითონვე მოვაწყოთ ჩვენი მომავალი. თუ მამა უდანაშაულოა – გამოუშვებენ, თუ არადა, მშობლების ცოდვას ჩვენ არ მოგვკითხავენ. დრო გავა, გავიზრდებით, შრომაში ჩავებმებით, ხალხი ჩვენი შრომით დაგვაფასებს და საზოგადოებაში ჩვენთვისაც აღმოჩნდება ადგილი. შენ

ჩემზე ნაკლებ როდი გესმის, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს უფრო მეტი მოეთხოვება. ხომ გესმის, თამაზ!

თამაზი. მესმის, ციალა, მაგრამ... მგონია, რომ ჩვენი მშობლები უდანაშაულო არიან.

ციალა. რმერთმა ქნას ასე იყოს.

თამაზი. ციალა, როდის მიღიხართ?

ციალა. მატარებელი თორმეტზე გადის.

თამაზი. მერე მე... მე რა მეშველება უშენოდ, ნუთუ არ იცი, რომ შენ და ეკალა ხართ ერთად-ერთი სანთელი ჩემს დაბნელებულ გულში.

ციალა. (ნელა წამოდგება და თამაზის თავზე ბავშვივით გადაუსმევს ხელს, გვერდით მიუჯდება და ამბობს). ვიცი, თამაზ, მეც ძალიან მიჭირს შენთან დაშორება, ამდენი ხნის მეგობრობის შეწყვეტა, მაგრამ...

თამაზი. მეგობრობის და მეტი არაფერი? (ციალა არაფერს პასუხობს) ციალა მე... ვერ ვბედავდი მეთქვა, ჩემს თავსაც არ ვუტყდებოდი, რომ გაგიჟებით... (ციალა ტუჩებზე აფარებს ხელს).

ციალა. ნუ, თამაზ, არ არის საჭირო, მე ყველაფერი ვიცი, დიდი ხანია მიმხვდარი ვარ. ვინ იფიქრებდა, რომ ასე შემობრუნებოდა ჩვენი ცხოვრება, რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, თამაზ...

თამაზი. ციალა, მაშინ ყველაფერი გათავდა?

ციალა. არა, თამაზ, არ გათავებულა! პირიქით, ყველაფერი წინ არის, მაგრამ ჯერ ბავშვები ვართ და ცხოვრებაში ბევრი სიძნელების გადალახვა მოგვიწევს. ვარდისფერი ხანა გათავდა, ახლა ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ცხოვრებას და საკუთარი ძალით მოვძებნოთ ბედნიერება.

თამაზი. ჩვენ მას ვიპოვით, ციალა, თუ შენ ჩემთან იქნები და არ მიმატოვებ.

ციალა. არ მიგატოვებ, თამაზ, მაგრამ შენი საქციელი არ მომწონს. აი, უკვე სკოლაში არ დადიხარ, ფრიადოსანი ოროსანთა რიგებში აღმოჩნდები, ცხოვრებასთან ბრძოლაზე ხელი აიღე. განა ეს კარგია?

თამაზი. რა ვქნა, ციალა, განა მე მინდა? მაგრამ ვეღარ ვუძლებ, ყველაფერი ეს ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა და გამტეხა!

ციალა. შენ უნდა ისწავლო, თამაზ. უნდა ისწავლო! კიდევ ორი თვე და გამოცდები დაიწყება. უნდა შესძლო ატესტატის აღება. საშუალო დაამთავრებულს კი აღარაფერი გაგიჭირდება, შეიძლება იმუშაო და ისწავლო კიდეც, დრო მალე გავა, 4-5 წელიწადში უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებ, დამოუკიდებელი კაცი გახდები, ყველაფერი კარგად იქნება, მპირდები, თამაზ?

თამაზი. გპირდები, ციალა! ვისწავლი, ყველაფერს დავძლევ, ყველაფერს მოვერევი, თუ შე...

ციალა. კარგი, თამაზ, ვიცი. ნუ იტყვი, არ არის საჭირო...

თამაზი. ბოლომდე მომისმინე, ციალა.

ციალა. არ არის საჭირო, თამაზ, მე ვიცი, რაც უნდა მითხრა, ისწავლე თამაზ და... მელოდე! (ჩურჩულით, წყნარად წარმოთქვა და თავს მხარზე მიაყრდნობს თამაზის, შემდეგ დგება, კალათიდან იებს იღებს და თამაზის აწვდის). აიღე, თამაზ, ჩემგან სახსოვრად გქონდეს. ეხლა კი მშვიდობით (ის კარებთან მიდის და ემშვიდობება თამაზის).

თამაზი. მშვიდობით, ჩემი პირველო და უკანასკნელო სიყვარულო (თამაზი მარტო რჩება მძინარე ეკასთან ერთად, უცბად ეკა იღვიძებს და თამაზის ეძახის).

ეკა. თამაზ.

თამაზი. გაიღვიძე ეკა, გენაცვალე, როგორ ხარ?

ეკა. ცუდად ვარ, თამაზ.

თამაზი. რა მოგივიდა ძვირფასო? (იგი ხელს ადებს ეკას შუბლზე) რა ცხელი შუბლი გაქვს ეკა, შენ სიცხე გაქვს.

(ეკამ მძიმედ გაახილა თვალები, უაზროდ შემოხედა თამაზის და დახუჭა).

თამაზი. ვაიმე ეკა. მიშველეთ (ყვირის თამაზი, ყვირილზე მეზობლის ქალი შემოდის, ეკას შუბლზე ხელს ადებს და ამბობს).

მეზობელი. ჩქარა ექიმი.

თამაზი. ეხლავე მოვიყვან ექიმს, ის მეზობლად ცხოვრობს (და გარბის ოთახიდან. ეკა და მეზობელი რჩებიან ერთად. ცოტა ხნის შემდეგ თამაზი ბრუნდება ექიმთან და დეიდასთან ერთად. ექიმი ეკასთან მიდის და სინჯავს მას. იქ მყოფი შეშფოთებით უყურებენ ექიმს. ექიმი დიდხანს სინჯავს ავადმყოფს, შემდეგ დგება).

დეიდა თამარი. საშიშია რაიმე?

ექიმი. (დუმს ერთხანს, შემდეგ მძიმედ ამბობს) მდგომარეობა სერიოზულია, მარჯვენა ფილტვის ანთება აქვს (დეიდა ტირილს იწყებს, თამაზის გული წაუვიდა).

ექიმი (მიმართავს თამაზის). როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო, ასე წახდენა, ავადმყოფს საშიში არაფერი ჭირს, თქვენ კი... ეგ რა მამაკაცური საქციელია.

თამაზი. მაპატიეთ ექიმო (და იგი ტახტიდან დგება).

ექიმი. (მაგიდასთან ჯდება და წამალს გამოწერს) შესაძლებელია ანთება მეორე ფილტვზეც გადავიდეს, ამისათვის აუცილებელია სტრეპტოციდი, თორემ ბავშვი დაგვეწვება. ეს ახალი ტემპერატურის დამწევი, უებარი საშუალებაა, მაგრამ მისი შოვნა ძნელია.

თამაზი. მე ვიშოვნი სტრეპტოციდს, აუცილებლად ვიშოვნი! (დეიდა დაფაცურდა, ფული მოძებნა და თამაზის გაუწოდა).

ექიმი. ერთი წუთით მოითმინეთ (თქვა მან და თამაზის მკლავში ხელი მოკიდა) ესეც აიღე (ექიმმა ჯიბიდან ფული ამოიღო და თამაზის გაუწოდა) ორი კოლოფი იყიდე, თუ მართლაც მოახერხოთ შოვნა.

თამაზი. მადლობთ ექიმო, ნუ შეწუხდებით თქვენ.

ექიმი. არ გეკადრებათ ასეთი ჯიუტობა (და ფული თამაზის ძალით ჩაუტენა ჯიბეში. თამაზი გადის ოთახიდან).

ექიმი. მე ამ ბავშვების მამას ვიცნობდი, ბატონი რევაზი კარგი ადამიანი იყო.

დეიდა თამარი. ნამდვილად ძვირფასი და სანაქებო ოჯახი იყო, მაგრამ უბედურება დაატყდათ, ორივე მშობელს საშინელი ბრალდება ნაუყენეს და დააპატიმრეს, ეხლა ობლად დარჩენილების გაზრდა მე ვითავე.

ექიმი. ღმერთმა ხელი მოგიმართოდ, ქალბატონო (უცბად კარი იღება და თამაზი შემოდის).

თამაზი. ვიშოვე (ჯიბიდან წამალს იღებს. დეიდა სიხარულის-აგან თამაზის მოეხვევა).

ექიმი. ყოჩალ, ვაჟკაცო (გაიღიმა ექიმმა და თამაზის მაგრად ჩამოართვა ხელი. ეკას ექიმმა ძალის-ძალად ჩაყლაპა აპი). ეხლა მთავარია ავადმყოფს სიმშვიდე ქონდეს. ჩაეძინება და დილით უკეთ იქნება. ეხლა კი უნდა და-გემშვიდობოთ, სხვა ავადმყოფებიც მელოდებიან (ექიმი ხელს ართმევს თამაზის და დეიდა თამარს ემშვიდობება და გადის ოთახიდან).

დეიდა თამარი. ღმერთმა ქნას ჩვენი ეკა გამოკეთდეს. მე ღამეს გაუთევ მას ამაღამ.

თამაზი. არა დეიდა, შენ წადი, მე გაუთევ ღამეს ეკას.

დეიდა თამარი. კარგი თამაზ, ესე იყოს, მაგრამ თუ რამეა გამაღვიძე, მე აქვე გვერდით ოთახში ვიქნები (იგი გადის ოთახიდან. ოთახში მწოლიარე ეკა და სკამზე ჩამომჯდარი თამაზი რჩებიან).

თამაზი. (თავისთვის ლაპარაკობს) ო, ღმერთო ჩემო, გადაარჩინე ჩემი და, დედის და მამის დანაბარები უნდა შევასრულო, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ეკას უნდა მოუარო (იგი ეკასთან მიდის და მის სახეს აკვირდება. უცბად ეკა ხელებას იწყებს, იღვიძებს, მაგრამ ბურანშია გამოერკვევა).

ეკა. თამაზ, შენ ხარ? მიშველე, თამაზ, ძალიან ცუდად ვარ, მიშველე თამაზ.

თამაზი. ეკა, გენაცვალე, დაწყნარდი, ყველაფერი კარგად იქნება (ეკა თვალებს ძლივს ახელს და ბოდვას იწყებს, თამაზი ხელს შუბლზე ადებს). თამაზი. ვაიმე, რა ცხელი შუბლი აქვს, დეიდა მიშველეთ, დეიდა (ყვირის იგი ხმამაღლა, ოთახში შეშინებული დეიდა შემოდის).

დეიდა თამარი. რა მოხდა (წარმოთქვა შემფოთებით და ეკას საწოლს შიშით გადახედავს).

თამაზი. ეკას ტემპერატურამ აუნია!

დეიდა თამარი. ღმერთო ჩემო, გაიქეცი ექიმთან თამაზ (თამაზი ოთახიდან უხმოდ გავარდა. დეიდა მიდის ეკასთან, თერმომეტრით სიცხეს უსინჯავს). მოგიკვდეს დეიდა, ჩემო ეკა 40 გრადუსი სიცხე გაქვს, შვილო. (უცბად ოთახში ექიმი და თამაზი შემოდიან. ექიმი საწოლთან დაჯდება და ავადმყოფს მაჯას უსინჯავს, შემდეგ ფონენდოსკოპს მოიმარჯვებს და ყურადღებით სინჯავს ავადმყოფს. ექიმი ავადმყოფის გასინჯვას მორჩა, მძიმედ წამოდგება).

ექიმი. სწორედ ამისი მეშინოდა, ანთება მეორე ფილტვში განვითარდა, მდგომარეობა გართულდა.

დეიდა თამარი. ვაიმე, შვილო (ცრემლები წასკდება, ეკას სუნთქვა უჭირს, იგი უაზროდ ატრიალებს თვალებს, ოთახი მეზობლებით ივსება, ყველანი იცრემლებიან).

ექიმი. თამაზ, გადი ოთახიდან (ექიმმა ხელი წაავლო თამაზის და ეკას საწოლიდან კარებისაკენ ეწევა).

თამაზი. ჰა-რაო? ეკა, ეკა! (იგი ეკას საწოლთან მიდის და დასტირის თავის მომაკვდავ დას). ეკა, შემომხედე, მითხარი რამე!

ეკა. (წამით თვალს გაახელს) დედა, დედიკო, ახლა მე ორი თოჯინა მყავს, მამამ მომიტანა, რა დიდხანს გელოდეთ (ჩურჩულებს ის და სახეზე ნეტარების ღიმილი დას-თამაშებს).

თამაზი. ეკა, მხედავ ეკა? (ჩასძახის თამაზი ეკას, მაგრამ მას უკვე არაფერი ესმის. თამაზი ეკას ცხედართან ხმა-მაღლა ტირის).

ექიმი. თამაზ, ვაუკაცი ხარ, გამაგრდი.

თამაზი. ტირით, ექიმო? თქვენ ტირით? ვერ მოვუარე ჩემს დაიკოს, ვერ დავიცავი, ხედავთ? მე, მე მოვკალი ის, მე მოვკალი.

ექიმი. დამშვიდდი თამაზ, დამშვიდდი, უბედურო ბავშვო! (და თამაზის გულში ჩაიკრავს. ოთახში ყველა ტირის).

სცენა №4

თამაზის ბინა. დიდ მაგიდას უსხედან თამაზის დეიდა თამარი და თამაზი, რომელსაც წინ გაზეთი უდევს.

დეიდა თამარი. შენი მშობლების სასამართლო განხილვა დამთავრდა. დანმაშავეთა ჯგუფში 14 კაცი გადიოდა, მშობლებმა ბრალდება უარყვეს, მაგრამ მოლარემ, მთავარმა ბუღალტერმა და მომარაგების განყოფილების უფროსმა სავსებით აღიარეს დანაშაული. მათ დახვრეტა მიუსაჯეს (დეიდა ტირის).

თამაზი. მე დიდხანს ვითმინე, დიდხანს ვიცადე, მეგონა რომ ცდებოდნენ ჩემი მშობლების დაპატიმრებაში. იმედები გამიცრუვდა, ისინი ნამდვილი დამნაშავენი აღმოჩნდნენ, მკვლელები! ეს მათ მოკლეს ეკა! წაშალეს ჩემი მომავალი, მგლად მაქციეს, ნადირივით გამაგდეს ქუჩაში უპატრონო და მიუსაფარი! შენ კი, შენ მათ ტირი, მათ უბადრუკ სიცოცხლეს მისტირი! წაიკითხე? შენს დასა და მის პროფესორ მეუღლეს იმდენი ვაუკაცობა არ აღმოაჩნდათ ეღიარებინათ დანაშაული, ის მაინც ეთქვათ, რამ აიძულათ ჩაედინათ

ასეთი სისაძაგლე! ვერ მპასუხობთ? მით უკეთესი. დაჯექით ოთახში და იტირეთ დამნაშავენი, იტირეთ მკვლელები, მაგრამ არ გაბედოთ მათთან ერთად უმანეო ეკას სახელის ხსენება.

დეიდა თამარი. თამაზ!, შვილო! (წამოიძახა და წამოდგა დეიდა.

თამაზი. მე თქვენი შვილი არა ვარ, მეორედ არ გაბედოთ!

დეიდა თამარი. მომისმინე, თამაზ! შეჩერდი, ჩემო შვილო...

თამაზი. თავი დამანებეთ, ნუ გგონიათ, რომ ცრემლს შეუძლია გული მომილბოს! მე გული ალარ მაქვს, ის სასაფლაოზე დავმარხე! მშობლების გამო ყველა ზიზღით მიცქერის, დღეიდან მარტო ვარ და ისე ვიცხოვრებ, როგორც მამაჩემის შვილს შეეფერება. ეხლა კი წადით ჩემს სახლიდან და ალარასოდეს მოხვიდეთ.

დეიდა თამარი. თამაზ! გონს მოდი, თამაზ.

თამაზი. ტყუილად ნუ ეცდებით ჩემი ამბის გაგებას და აქ არას-დროს მოხვიდეთ, მე დღეიდან არავინ არ მყავს, გვარიც კი მეზიზღება ჩემი. (დეიდა ტირილით გადის ოთახიდან. კარებიდან კაკუნის ხმა ისმის. კარი იღება და ოთახში თამაზის მეზობელი არტაშა შემოდის. 25 წლის შავგრემანი კეხიანი ცხვირიანი მამაკაცი).

არტაშა. თამაზ, სახლში ხარ, რატომ ხმას არ იღებ (თამაზი თავ-ჩაქინდრული ზის სკამზე). ასე არ ვარგა, თამაზჯან, ვაჟუკაცი არა ხარ? ძალა მოიკრიბე, გამხნევდი, თორემ დარდი მოგკლავს.

თამაზი. ნეტავი ვისთვის რა საჭირო ვარ?

არტაშა. როგორ თუ რა საჭირო ხარ! კაცი არა ხარ, ადამიანი! უნდა იცოცხლო, სიკვდილს ყოველთვის მოესწრები, ყველანი იქ უნდა წავიდეთ.

თამაზი. ჩემი ცხოვრება დასრულდა. მშობლებმა მიღალატეს, ეკა მომიკვდა, ვისთვის უნდა ვიცოცხლო!

არტაშა. ვაჲ, მეც მომიკვდა მშობლები, შენზე პატარა დავრჩი, მაგრამ ხომ ხედავ ვცხოვრობ, შენც უნდა იცოცხლო.

თამაზ ჯან, ძმობას გეფიცები, ძალიან მწყინს შენი ამბავი, მაგრამ რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არის, მკვდრები არ ცოცხლდებიან, დრო გაივლის, ყველაფერი დაგავიწყდება. დარდს უნდა მოერიო, თამაზ ჯან! ამისათვის ერთი წამალი არსებობს. (არტაშა წამოდგა) მე ახლავე მოვალ, შენ აქ დამიცადე (იგი ოთახიდან სწრაფად გადის. თამაზი ტახტზე წამოწვება და ფიქრს მიეცემა. ცოტა ხანში კარი იღება და არტაშა ბოთლებით ხელში სახლში შემოდის). თამაზ ჯან, გძინავს (არტაშა მაგიდასთან მიდის, ხსნის ბოთლებს, გაშლილ გაზეთზე სანოვაგეს აწყობს). ადექი თამაზ, თითო ჭიქა დავლიოთ, დარდს მოგვაშორებს, (თამაზი უხალისოდ დგება) მოდი, მოდი დავლიოთ! ნახე რა ხელად მოგეშვას. (თამაზი მაგიდასთან მიდის, არტაშა კონიაკის ბოთლი ჩაის ჭიქაში დააპირქვავა, შემდეგ მეორე ჭიქაშიც ჩაასხა). გაგვიმარჯოს! (დაილოცა და გადაჰკრა, თამაზიმაც უხმოდ გადაჰკრა).

თამაზი. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვსვამ ამდენ კონიაკს.

არტაშა. მიირთვი, თამაზ ჯან! დღეს მე ვარ მასპინძელი (და თამაზის ძეხვის ნაჭერი მიაწოდა. კიდევ დალიეს და ორი ბოთლი კონიაკი გამოცალეს. თამაზის თავბრუესხმის).

თამაზი. მაშ, ეს არის სიმთვრალე? დავლევ, ჩემთვის ყველაფერი გათავებულია, ცხოვრებამ სიტყბო წამართვა. (ჭიქას წაეპოტინა ხელი, დაუცადა და სასმისი წაიქცა, ხოლო მაგიდაზე გაიშალა დაღვრილი სითხე).

არტაშა. მიცვალებულთა შესანდობარი იყოს, თამაზ ჯან! (შემდეგ დგება, თამაზის ხელს გადახვევს). თამაზ ჯან, ამ ქვეყნად სხვა არაფერი შეგვრჩება, ღვინო, ეს იცი რა არის? სიცოცხლეა, ჯიგარია, დარდი მოგელავს, მტერთან შეგარიგებს, ძმა-ბიჭს შეგაყვარებს.

(არტაშა თამაზის კოცნის). შენ ჩემი ძმაკაცი ხარ, თამაზ ჯან, სიყრმე მომიკვდეს, თუ ვინმეს დავაჩაგვრინო შენი თავი, ჩემი სიყრმე მომიკვდეს რაღა, თუ ალალი ძმასავით არ გაგიტანო! ეს ცხოვრება მორევია, თუ ხელი არ გაანძრია კაცმა – დაიხრჩობა.

თამაზი. აკი ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სკოლას თავი დავანებე, მაგრამ სამუშაო ვერ ვიშოვნე.

არტაშა. ფუჟ (გადააფურთხა არტაშამ), სამუშაო, მერე ვისთვის უნდა იმუშაო, ან რამდენი უნდა იშოვო?

თამაზი. მაშ რა ვქნა?

არტაშა. ვა, როგორ რა ქნა, მე აქ არა ვარ? აი, ერთი საქმე აქვთ ჩემს ძმაკაცებს, სწორედ შენნაირი ბიჭი უნდათ. თუ არ ითაკილებ, კაი ფულს იშოვნი.

თამაზი. როგორ?

არტაშა. შენ თვითონ ხომ იცი, მე როგორ ვცხოვრობ. ამ დღეებში ბიჭებმაც ნაქურდალი კაი რამეები ჩამოიტანეს მოსკოვიდან, გასაღება სჭირდება, შესანახი ადგილიც, შენს სახლში მოიტანენ, მერე ნელ-ნელა გაყიდიან, შენც დაეხმარები. არხეინად იყავი, გულს არ დაგწყვეტენ.

თამაზი. სპეკულიანტობა დავიწყო?

არტაშა. სპეკულიანტობა რას მიქვიან! მამა უცხონდათ, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ანტიკა რამეები სახლში მივართვათ და ფულიც არ გადავახდევინოთ?

თამაზი. მე მაგას ვერ ვიზამ, არტაშ.

არტაშა. შენი საქმეა, მაშ თუ გინდა სადგურზე გადი, ბარგს წაუღებ ვინმეს, თოვს მე გათხოვებ, ეგ უფრო ჩესტნი სამუშაოა (დასცინა არტაშამ).

თამაზი. განა აუცილებელია ბარგი ვზიდო?

არტაშა. მაშ სხვა რა გინდა, ხო ხედავ, რომ ახლოს არ გიკარებენ. კაცი ან ღმერთან უნდა იყოს, ან ეშმაკთან, მათ შუა ჯერ არავინ გაჩერებულა, შენც ვერ გაჩერდები.

თამაზი. კარგი, თანახმა ვარ.

სცენა №5

თამაზის ოთახი თბილისში. თამაზი ლოგინში წევს. უცბად ბრახუნი ისმის, კარი იღება და ოთახში უორა შემოდის ჩემოდნებით, მას ორი მისი ამხანაგი მოყვება. ისინიც დატვირთულები შემოდიან ოთახში.

უორა. ადექი თამაზ, ნახე რა ტავარი მოგიტანეთ, ნახევარი გავყიდეთ. აი შენ აიღე შენი წილი 300 მანეთი (და იგი ფულს თამაზის აძლევს, რომელიც ადგა საწოლიდან და უორას გაკვირვებული უყურებს).

თამაზი. ამდენი ფული მე არ დამიმსახურებია.

უორა. აიღე, ნუ გერიდება, სწორეთაც, რომ დაიმსახურე, მოდი სუფრა გავშალოთ და ერთი კარგად ვიქეიფოთ. (თამაზი და უორა დატრიალდებიან და სუფრას შლიან).

არტაშა. თამაზ, გაიცანი, ესენი ჩემი ამხანაგები არიან, გოგი და უორა (თამაზი მათ ხელს ართმევს). ეხლა კი მოდით ამ ჭიქით ჩვენ გაგვიმარჯოს და ჩვენ მარჯვენას (იტყვის და გადაჰქორავს ჭიქას, დანარჩენებიც მიბაძავენ მას), მოდი თან პოკერი ვითამაშოთ, რას იტყვით? (ყველა დაეთანხმა და იწყებენ კარტის თამაში. პირველ ხანებში თამაზის ბედი სწყალობს და იგებს).

არტაშა. ვა, ყოჩალ თამაზ, 1000 მანეთი მოიგე.

თამაზი. ბედი მწყალობს. (ნელ-ნელა თამაზი წაგებას იწყებს და ბოლოს არა მარტო მოგებული, თავის ფულსაც აგებს. მან დალია სასმისი და ცარიელი ჭიქა კედელს მიანარცხა).

უორა. პრისტავკაზე ვითამაშოთ, თამაზ ჯან (გაიღიმა უორამ და გვერდზე ჩასმული ერთად-ერთი ოქროს კბილი გამოაჩინა).

არტაშა. ეთამაშე (აქეზებს არტაშა).

თამაზი. წყალსაც წაულია, ყველაფერი, ვითამაშოთ, მაგრამ არა პოკერი, არამედ ზარი.

ჟორა. თანახმა ვარ. (გოგი ჯიბიდან კამათლებს იღებს, მაგიდას გვერდზე წევენ იატაკზე ჩაიმუხლებენ. პირველი არტაშა ჰყურის და აგებს, შემდეგ თამაზის ჯერი დადგა, რამდენჯერ გააგორა, იმდენჯერ მოიგო, შემდეგ წააგო. ოთახში კამათლის ჩხრილის ხმა და წვივებზე გამეტებით შემოკრული ხელის ტკაცუნი ისმის.

თამაზი. 500 მანეთი წავაგე.

გოგი. არა უშავს, თამაზ ჯან, ცხოვრებაც ზარის თამაშია, დღეს წააგემ, ხვალ მოიგებ.

ჟორა. ამ სალამოს ფულს აქ, შენს ოთახში ჩამაბარებ, რვა საათზე მოვალ რუბენასთან ერთად (დინჯად წარმოსთქვა ჟორამ და ჭიქები ლვინით შეავსო. თანხმობის ნიშნად თამაზი თავს უქნევს).

არტაშა. აბა, შემდეგ შეხვედრამდე (დაილოცა არტაშამ ჭიქა, თამაზის მიუჯახუნა და გადაჰკრა. გოგი და ჟორა ემშვიდობებიან და გადიან ოთახიდან).

თამაზი. ეს ოხერი ფული სად ვიშოვნო სალამომდე, შენ ვერ მასესხებ, არტაშ?

არტაშა. არა მაქვს, თამაზ ჯან, რაცა მქონდა წავაგე.

თამაზი. ეს რუბენა ვინდა არის ჟორამ რომ ახსენა, მასთან ერთად მოვალო.

არტაშა. ეგ რუბენა ძალიან კარგი ვინმეა, მთელი თბილისის ბიჭები იცნობენ, ძველი ბიჭია, დიდი ხანია არ არის ციხიდან გამოვიდა.

თამაზი. ქურდია?

არტაშა. ქურდი კი არა, კაცია! ეგ რომ მაგასთან წამოგცდეს, სანთელივით გაგაქრობს, რით ვერ მიეჩვიე კაცურ ლაპარაკს?

თამაზი. კაცი! ასე ეძახით თქვენ ყველა სტაჟიან ქურდს. პრავიანია.

არტაშა. მა რა! მთელი თბილისელი ბიჭები მაგის მზეს ფიცულობენ. შენ ჯობია სალამოსთვის ფული იშოვნო.

თამაზი. სად უნდა ვიშოვნო. ხომ იცი, არავინ მასესხებს.

არტაშა. მაშ იცი რას გეტყვი, რუბენას თხოვე, იქნებ თავდებად დაგიდგეს.

თამაზი. რას დამიდგება, რა მისი ამხანავი მე ვარ, რომ თავი შეიწუხოს.

არტაშა. შენც სცადე, იქნებ რამე გამოგივიდეს, თორემ ფინთად გათავდება საქმე, უორამ პრისტავკაზე ხუმრობა არ იცის! (თქვა ეს არტაშამ და ოთახიდან გავიდა).

თამაზი. რაღაც გამოუცნობი შიში მტანჯავს, რა იქნება? რას მიზამს უორა? ტყუილად არ მოჰყავს ქურდი რუბენა, რაღაც საშინელებას მიპირებს (უცბად თამაზის ციალას ხმა ესმის „რას ჩადი თამაზ, ახლავე დატოვე ეგ სახლი და წადი შორს გაიქეცი. ჩვენს სიყვარულს გაფიცებ გაიქეცი“. უცბად თამაზის კარებში ბრახუნის ხმა გამოაფხიზლებს. იგი კარს აღებს და ოთახში შედიან უორა, რუბენა, გოგი და არტაშა. მოსულები მაგიდასთან სხდებიან და მხიარულად მასლაათობენ. უორა ყურადღებასაც არ აქცევს თამაზის, ლაზლანდარობს და გულიანად ხარხარებს.

უორა. აბა არტაშ ჯან, სწრაფად რამე გააჩინე, რუბენას ცოტა პატივი ვცეთ. აპა, ეს ბალის ტყავი დაიჭი (და არტაშას 100 მანეთიანს აწვდის, არტაშა კარებში გაუჩინარდება. რუბენა, უორა და გოგი ოცდაერთს თამაშობენ. ბანკი რუბენას ეჭირა, მის წინ ფულის გროვა იყო დახვავებული.

რუბენა. სტუკია (განაცხადა მან და ფულები შეაქუჩა).

უორა. ათასი მანეთი (წამოიძახებს უორა და კარტის გამოსართმევად ხელი გაიწოდა).

რუბენა. მოდის.

უორა. (კარტები შეატყუპა, დიდხანს წვალობს, ფრთხილად ჩითავს კარტებს) ვდგავარ, შენთვის წადი.

რუბენა (თავისი კარტი გასინჯა, შემდეგ კალოდიდან დაუდე-

ვრად ერთბაშად აგდებს ორ კარტს). ოცი! (განაცხადა დინჯად და აქამდე დაფარული მესამე კარტიც გახსნა).

ჟორა. უპ მაგისი... (შეიგინა ჟორა და ჯიბიდან ხუთი ცალი 100 მანეთიანი ამოილო, შემდეგ თამაზისკენ მიბრუნდა) დანარჩენი 500 მანეთი ჩადი. (თამაზის ენა მუცელში ჩავარდა). დაყრუვდი? (ძალლივით შეღრინა ჟორამ თამაზის და თვალები გადაუბრიალა).

თამაზი. მე... მე...

ჟორა. რა თხასავით კიკინებ, ხომ ხედავ წავაგე, გადაიხადე!..

თამაზი. მე... მე ფული არა მაქვს, ჟორა, ღმერთმანი ვერ ვიშოვე, ხვალ მოგცემ (საცოდავად დაილრიჯა თამაზი).

ჟორა. ვერ იშოვე? (ჩაიცინა ჟორამ) შენ პრისტავკა იცი რა არის? ამ წუთში ფული, თორემ დაუბრიდავი არ გადამირჩები.

თამაზი. ჟორა, თუ ძმა ხარ... (წამოიკავლა თამაზიმ).

ჟორა. ახლა 9 საათია, შენ ისედაც ერთი საათი დააგვიანე გადახდა! იქნებ გვონია...

რუბენა. პრისტავკა წააგო (შეაწყვეტინა სიტყვა რუბენამ, რომელიც მის წინ დახვავებულ ფულს დინჯად აწყობდა და ჯიბეში იტენიდა).

ჟორა. ჰო პრისტავკა, და ამ ტუტუცს ჰქონია, რომ ვალის ამოსაგებად სასამართლოში ვუჩივლებ. ის კი არ იცის, რომ ორივე თვალებს დავთხრი, ცოცხლად შევჭამ, შე მუდრუგო, შენა! (ჟორა ფეხზე წამოხტა).

რუბენა. მოიცა ჟორა. ეგ 500 მანეთი მე მოვიგე, თუ ფული არა გაქვს, გადმომაბარე, იქნებ მე არ ვიზარალო.

ჟორა. გადმოგაბარო?

რუბენა. ჰო, როგორმე ამოვიდებ (ჩაიცინა რუბენამ).

ჟორა. ყაბულსა ვარ, წაიყვანე, თუ გინდა ცოცხლად შეწვი.

რუბენა. აქეთ მოდექ თამაზ, პრისტავკაზე სიცოცხლით აგებ პასუხს, ან ფული ან სული! შენ ეს იცი?

თამაზი. არა.

რუბენა. არა? აბა რა ეშმაკად თამაშობდი?

თამაზი. მე მეგონა ვიშოვიდი, მაგრამ ვერ ვიშოვე.

რუბენა. გეგონა! რაებს ჩამახავ! შენ იცი, მე ერთხელ რაზე
ვიჯექი?

თამაზი. არა.

რუბენა. მაშ გეტყვი: ერთხელ მეც ვერ ვიშოვე ვადაზე ფული,
ხოდა, რისკზე წავედი, ერთ ბინაში შევეხეტე, თუმცა
ნაღდში ვიცოდი ამწევდნენ, მაგრამ მაინც შევედი,
რადგან პრისტავკის გადაუხდელობისათვის გამომ-
ნელავდნენ. ჩავვარდი, ეს ერთად-ერთი საპატიო
მიზეზია პრისტავკის გადაუხდელობისათვის, თანაც
კაცური მიზეზი, გაიგე? აი რა, მე შენ ამჯერად დროს
მოგცემ, ფულს კი გაშოვნინებ, ამ დღეებში საქმეზე
ნაგიყვან, ვნახოთ რა კაცი დადგები. საქმე ფულში
როდია, 500 მანეთი რა დიდი ფულია, გაპატიებდი
კიდეც, მაგრამ პრისტავკის პატიება არ შეიძლება,
აუცილებლად უნდა გადაიხადო, შენი ფულით, შენი
ნაშოვნი ფულით, გაიგე?

თამაზი. გავიგე.

რუბენა. ჰოდა, ასე. ეს ფული სახარჯოდ დაიჭი (რუბენამ ორი
ცალი ას მანეთიანი მიაწოდა თამაზის), ტირილს კი
თავი დაანებე. ხვალიდან ჩემთან იმუშავებ, რა შენი
საქმეა ბარახლოს გაყიდვა! გამომართვი ფული
(მკაცრად იმეორებს რუბენა, თამაზიმ შიშით გამოარ-
თვა ასიანები, რუბენა წამოდგა და მხარზე ხელი დაკ-
რა) გამოდგები. (გაიცინა, შემდეგ უორასთან მივიდა)
მორჩა! დღეიდან თამაზი ჩვენი ბიჭია, არაფერი
აწყენინო. რაც მოხდა, ისიც დაივიწყე, გაიგე?

ჟორა. ვა, როგორ ვერ გავიგე, რუბენ ჯან! განა მეჯავრება,
მაგრამ პრისტავკა პრისტავკაა, შევრიგდეთ, ჯიგარო
(გაელიმა უორამ თამაზის და ხელი გაუწოდა, თამაზის
ნაძალადევად გაიღიმებს და ხელს ჩამოართმევს.

ოთახის კარები სანოვაგით და ბოთლებით დატვირთულმა არტაშამ შემოაღო, თამაზის გაღიმებული სახე რომ დაინახა, თვითონაც ეღიმება, თვალს ჩაუკრავს და გვერდზე გაიყვანს თამაზის და ეტყვის).

არტაშა. გამოგადგა ჩემი რჩევა? გითავდება?

თამაზი. ჰო, მითავდება.

არტაშა. შენ რუბენას მაგრად მოეჭიდე, მაგასთან არ დაიკარგები, შენ რუბენა ვინა გვონია? მაგან თუ თქვა, აქედან კამჩატკაზე მოკლავენ კაცს! მოღალატეების დანდომა ჩვენს კარაბადინში არ წერია, მაგის სახელით ციხეში ქურდები სამართალსა ქმნიან, არც კასაცია, არც აპელაცია, მორჩა! იყო კაცი და აღარ არის კაცი! ასეა. (იწყება ქეიფი და ლოთობა).

მეორე მოქმედების დასასრული

მესამე მოქმედება

სცენა №6

თამაზის სახლი თბილისში. ოთახში საზეიმო სუფრა არის გაშლილი, სუფრას დასტრიალებენ არტაშა, უორა, გოგი და სამი ახალგაზრდა გოგო. უცბად კარში კაკუნის ხმა ისმის.

არტაშა. აბა, ბიჭებო და გოგოებო, ქურდებს ღირსეულად დავხვდეთ, შენ ქეთინო როიალს მიუჯექი და შენ რომ იცი, ერთი ჯიგრიანი სიმღერა იმღერე ქურდებზე. თქვენ ორნი იცეკვებთ, ჩვენ სასმელებს გავავსებთ და სადლეგრძელოთი შევეგებებით. (კარი იღება და ოთახში რუბენა და თამაზი შემოდიან კარგად, ლამაზად ჩაცმულები. ისმის პიანინოს ხმა და ქეთინო გუ-

ლიანად მღერის სიმღერას (აბა ქურდებს ვინ დაიჭერს კარგო, გალიაში ბულბულები ზიან).

ჟორა. აბა თქვენ გაგიმარჯოთ, ნამდვილ კაცებს გაუმარჯოს (ყველანი სვამენ მათ სადღეგრძელოს, გოგოები ცეკვავენ, ქეთინო მღერის. ყველანი სათამაშოდ ჯდებიან. თამაზი და ჟორა ზარს თამაშობენ. თამაზი უგებს ჟორას ფულსაც და ტანსაცმელსაც).

თამაზი. აბა გაიხადე შარვალი და კოსტიუმი ჩქარა (ჟორა იხდის და ტრუსების ამარა ზის სკამზე. რუბენა ხარხარებს).

რუბენა (მიმართავს ჟორას) მა რა გეგონა, შე ოხერო სულ შეგირდად კი არ დარჩებოდა, შენ ეგ ვინა გგონია, ტყუილად როდი შევარქვით „ლამაზო“ (ჟორა ბრაზისაგან სკდება, მაგრამ ვერაფერს უბედავს მოხარხარე რუბენას. თამაზი ჟორას შარვალ-კოსტიუმს მოისვრის ძირს და ეუბნება ჟორას).

თამაზი. მოდი პრისტავკაზე ვითამაშოთ.

ჟორა. არა, არ მინდა, დღეს შენი დღეა.

რუბენა. (სიცილით იგუდება) ჲა შეგაშინა? ეთამაშე, რო ერთი ინტერესნად დაგიხაზოს ეგ სიფათი, მა რა გეგონა, შეჭმას რო უპირებდი, მუდრევნახევარო! (ჟორა ხმას არ იღებს) ამას სულ არ ეშინია შენი, იმიტომ რომ ის ქურდია და ქურდების კანონი იცავს, დაუწერავი კანონი სასტიკი და დაუზოგავი (ყველა იცინის და ქეიფი და სიმღერები გრძელდება. კარზე კაკუნის ხმა ისმის, თამაზი აღებს კარებს და კარებში ციალას დაინახავს).

თამაზი. ციალა, ძვირფასო (იყვირა თამაზიმ და ციალა გულში ჩაიკრა, ციალამ თავი მკერდზე მიაყრდნო და აქვი-თინდა). ციალა, ჩემო ციალა (ლულლულებს თამაზი). წამოდი, გვერდზე ოთახში გავიდეთ (ისინი გვერდით ოთახში გადიან).

ციალა. როგორ ცხოვრობ, თამაზ, როგორა ხარ?

თამაზი. ვარსებობ, ციალა, ჯერ არ მომკვდარვარ.

ციალა. გამხდარხარ, თამაზი, თვალები შეგშუპებია, წარბებს შუა ნაოჭი გაგჩენია, ალბათ ბევრ მუშაობ.

თამაზი. ჰო, არა, არც მაინცდამაინც (ციალა გამომცდელად უყურებს, თამაზი თვალს არიდებს).

ციალა. შენ რაღაცას მიმალავ, თამაზ.

თამაზი. არა, ციალა, რას უნდა გიმალავდე, მე უბრალოდ დავიღალე, ძალიან დავიტანჯე.

ციალა. არ მგონია რომ იტანჯებოდე, ვხედავ მშვენივრად ატარებ დროს შენ ახალ მეგობრებთან, რატომ შეწყვიტე წერილების წერა?

თამაზი. არ ვიცი, ციალა, რა გიპასუხო, ეს ისე რაღაც თავის-თავად, ჩემდა უნებურად მოხდა.

ციალა. შენ სტყუი, თამაზ, მე ყველაფერი ვიცი. (თამაზი დუმს). რამ დაგამუნჯა, თამაზ?

თამაზი. ცხოვრებამ, ცხოვრებამ დამამუნჯა (იგი ჯიბიდან სიგარეტს იღებს და ეწევა).

ციალა. შენ ეწევი, თამაზ?

თამაზი. ჰო, ციალა, აგერ სამი თვეა ვეწევი.

ციალა. მაშ ასე ეწევი, სვამ, ეს იყო შენი დაპირება? თამაზ მე შენ ვაჟკაცი მეგონე, მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა, განა მარტო შენს თავზე დატრიალდა ქარიშხალი? არც მე გაუვნებივრებივარ ცხოვრებას, მაგრამ სულით არ დავცემულვარ. შენ კი რა მოგდის, თამაზ, პაპიროსი, ღვინო, ლოთობა, ეს საეჭვო მეგობრები. ამათვის გააგდე სახლიდან დეიდაშენი?

თამაზი. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ ცხოვრებას არ გავე-თელე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, დავმარცხდი.

ციალა. დამარცხდი? შენ ბრძოლაც არ გიცდია, სურვილიც არ გქონია ბრძოლისა, უბრალოდ მოეშვი, გზას აცდი და არა დამარცხდი. შენ, შენ ფეხქვეშ გათელე ჩვენი სიყვარული, ჩვენი დიდი გრძნობა. ცხოვრებას, ბედნიერებისათვის ბრძოლას ღვინო და თამბაქო არჩიე. ასეთი სულმოკლე ხარ?

თამაზი. ციალა, მე სულმოკლე არა ვარ, არც მშიშარა. ღვინო და თამბაქო მე არ ამირჩევია, თვით ცხოვრებამ მომაწოდა ერთიც და მეორეც, შენ არ იცი, როგორ ვენამე, რა გადავიტანე ამ დროის განმავლობაში. რამდენი ვიბრძოლე და როგორ დავმარცხდი! ნუ მსაყვედურობ, ჩემს გულს წყლულები არ აკლია, ახალი ჭრილობები საჭირო აღარ არის, ზედმეტია.

ციალა. თამაზ! (დაარღვია ციალა დუმილი) შენ ახლავე წამოხვალ დეიდა თამართან და არასდროს, გესმის, არასდროს არ დაბრუნდები ამ დაწყევლილ სახლში. აქ ცხოვრება შენ საშინელებას მოგიტანს, დაიღუპები!

თამაზი. გვიანლაა, ციალა.

ციალა. თამაზ (შეჰყვირა ციალა), გეფიცები ჩვენს სიყვარულს, ეკას სახელს, ახლავე წამოდი!

თამაზი. გვიანლაა-მეთქი, ციალა, მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი!

ციალა. რას ამბობ, თამაზ! (იყვირა ციალამ).

თამაზი. შენ არ იცი, ციალა, ნუ მკითხავ, ამით არაფერი შეიცვლება.

ციალა. (ტირის) აღარ გიყვარვარ?

თამაზი. მიყვარხარ, ციალა, სიცოცხლეს მირჩევნიხარ! ერთი შენი ცრემლისათვის უყოყმანოდ გავწირავ თავს, წვეთწვეთობით მივცემ სისხლს, მაგრამ მე... მე... ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, ჩემი სიყვარული მხოლოდ უბედურებას, საშინელ სირცხვილს მოგიტანს. შენ არ იცი, რა ძნელია ჩემთვის შენი დათმობა, ჩემს ცხოვრებაში ერთად-ერთი ნათელი სხივი ჩაქრება. მხოლოდ შენი სიყვარული მინათებდა გზას, ბედს ისიც შეშურდა. ჩემი გული დაცარიელდა, იქ სიბნელემ და სიცივემ დაისადგურა, როგორც კუბოში.

ციალა. საშინელებას ლაპარაკობ, თამაზ.

თამაზი. შეიძლება, მაგრამ ეს საშინელება სინამდვილეა, სრული სიმართლე.

ციალა. რა გადაწყვიტია, თამაზ?

თამაზი. მე არაფერი, სხვებმა გადაწყვიტეს, ჩემი აზრი არც კი უკითხავთ.

ციალა. თამაზ!!!

თამაზი. კმარა ციალა, ნულარ მტანჯავ, ხომ ხედავ, რომ ამით არაფერი შეიცვლება, თამაზი მოკვდა, უკვე კარგა ხანია მოკვდა!

ციალა. გულს მიკლავ, თამაზ.

თამაზი. არა ციალა, შენ ბედნიერი უნდა იყო. ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ იქ სიყვარულისთვის ადგილი აღარ დარჩა. ჩემი გული შებლალულია, მოხდა ისეთი რამ, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია, არც ჩემზეა დამოკიდებული.

ციალა. მომისმინე თამაზ, მე არ გკითხავ რა მოხდა, მაგრამ მწამს, რომ მისი გამოსწორება შეიძლება. წამოდი, დღესვე წავიდეთ სოფელში, იქ იმუშავებ, ბინასაც იშოვი, ყველაფერი მოგვარდება, შენი ცხოვრება აეწყობა.

თამაზი. ვერა, ციალა!..

ციალა. დამიჯერე, ჩემო თამაზ, გულს ნუ მომიკლავ, დამიბრუნდი! ჩვენ ერთად ვიქნებით, თამაზ, ერთად ვიპოვით ბედნიერებას, სიხარულს (ციალა წამოდგება, ხელს მოხვევს და მკერდზე მიეკრება თამაზს) ნუ მეთქი, თამაზ, ნუ! დამიჯერე, დაიღუპები (ჩურჩულებს ციალა და ეალერსება თამაზის თმებს. თამაზი მკერდიდან მოიცილებს ციალას, რომელიც ყრუდ ამოიკვნესებს და მოწყვეტით დაეცემა სკამზე. ციალა ტირილს იწყებს. ციალა წამოდგება, ტირილისგან დაოსებული და სევდიანად შეხედავს თამაზის).

ციალა. მე წავალ თამაზ (და მან ხელი გაუწოდა თამაზის, თამაზი ხელი ჩამოართვა). მშვიდობით თამაზ.

თამაზი. მშვიდობით, ციალა! მე ამ ქვეყნად ბედის გარეშე გავჩინდი, სიხარული ვერ გაიმეტა ჩემთვის ცხოვრე-

ბამ. შენ სიყვარულსაც ვერ მოუვარე, ესეც დაენანა ბედს... არ ვიცი რა მომელის მომავალში, დიდი ტანჯვა მოგაყენე, მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად უბედური ვარ, დამივიწყე, შენ კარგი და ჭკვიანი ხარ, ნებისყოფით ჩემზე ძლიერი და მწამს გაიმარჯვებ, ბედნიერებას იპოვი! იცოდე, დღეიდან ჩემი ერთადერთი სიხარული მხოლოდ შენი ბედნიერება იქნება, მშვიდობით სამუდამოდ! (ციალა ტირის, თამაზი ხელზე კოცნის რამდენჯერმე ციალას და მიტრიალდება. ციალა ტირილით გადის ოთახიდან).

სცენა №7

სააგადმყოფოს პალატა. პატიმარი საწოლზე წევს, გვერდზე მას გამომძიებელი უზის ლევან მინდელი. ქურდი ჩარგიევი, რომელიც დაჭრილია, აგრძელებს თხრობას.

ჩარგიევი. იმ დღიდან მტკიცედ მივეკედლე რუბენას, ყოველი ახალი ბოროტება ველურ სიხარულს მგვრიდა. სატანურ სიამოვნებას განვიცდიდი, როდესაც რომელიმე ბინას გავქურდავდი, მატარებელში გაქურდული მგზავრის კივილი და თავში ცემა ნაზ მელოდიასავით მიტკბობდა სმენას. თანდათან დავკარგე ადამიანური თვისებები და მძვინვარე ქურდად ვიქეცი. ვქურდობდი თბილისში, კახეთში, გორში, ბათუმში. მილიცია ფეხდაფეხ დაგვდევდა, მაგრამ ბედი გვწყალობდა და ერთხელაც ვერ მოგვიგდეს ხელში. ასე გავიდა თითქმის ერთი წელიწადი. ქურდებს ჩემი ერიდებოდათ, პატივით მეპყრობოდნენ, რუბენა ტოლივით მექცეოდა, ანგარიშს მიწევდა და თუ აქამდე მის სახელს ფიცულობდნენ, ეხლა „ლამაზოც“ გაუჩნდათ საფიცრად.

მალე გავეცანი ბოროტმოქმედთა სამყაროს, თითქმის საქართველოს ყველა ქალაქში გვყავდა ჩვენი ხალხი, მაგრამ ძირითადად მაინც ოთხი დავდიოდით ერთად: რუბენა, მე, გოგი და უორა. ბოლოს დადგა დრო და ბედმა ზურგი შეგვაქცია. ბათუმში მაღაზიის გატეხვა განვიზრახეთ, მილიცია ჩასაფრებული დაგვხვდა, ალყაში მოყვევით, სროლა აგვიტეხეს. უორამ და გოგიმ აქ დაამთავრეს თავიანთი „კარიერა“. გოგის შუბლში მოხვდა ტყვია და ადგილზე გააცია. დანარჩენებმა სროლით გავიკაფეთ გზა. თითქმის სამშვიდობოს გასულთ დაგვეწია ტყვია, უორამ მკერდზე იტაცა ხელი და კვნესით გაგორდა ქვიშაზე. რუბენამ ერთი დახედა და რა დარწმუნდა მას სიარული აღარ შეეძლო, აუღელვებლად დაახალა ორი ტყვია, გამოვიჭრით, მოვახერხეთ დამალვა და რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩამოვედით. რუბენას საქციელი არ გამკვირვებია: ცოცხლად ჩავარდნილ უორას ორივეს გაყიდვა შეეძლო. მალე ყალბი პასპორტებით გავეცალეთ საქართველოს. ვქურდობდით ხარკოვში, ლენინგრადში, მოსკოვში და ბოლოს ჩვენი ხეტიალიც ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო: 1940 წლის ზამთარში მოსკოვში მაღაზია გავქურდეთ, მილიციამ კვალი აიღო, სათითაოდ აგვიყვანეს, რუბენამ პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა, ხშირად იტყოდა, ცოცხლი მილიციას არ ჩავბარდებიო. როდესაც მასთან მილიციის მუშაკები შეცვივდნენ, რუბენამ ნაგანი ამოიღო, მაგრამ დაასწრეს და ადგილზე დაცხრილეს. მე კი გამასამართლეს, ომმაც ციხეში მომისწნო. (ჩარგიევმა თხრობა შეწყვიტა, გამშრალი ტუჩები გაილოკა). თუ შეიძლება ცოტა წყალი მომაწოდეთ (მიმართა მან გამომძიებელ მინდელს და სუსტად გაეღიმა, გამომძიებელი გამო-

ერკვა, ფრთხილად მოუტანა დაჭრილს გაფიცხებულ ტუჩებთან ჭიქა და პატიმარს რამდენიმე ყლუპი შეასვა).

ლევანი. იქნებ დანარჩენის თხრობა გადავდოთ.

ჩარგიევი. არა, ბატონო ლევან, თითქმის დავამთავრე, თუ არ დაგლალეთ, ბარემ მომისმინეთ.

ლევანი. კი, მაგრამ, თქვენ ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება, გაწყენთ.

ჩარგიევი (გაიცინებს). ჩემი ჯანმრთელობის გაფრთხილებას აზრი აღარა აქვს, მე ვგრძნობ აღსასრულის მოახლოებას, ამიტომ ვჩერობ, ბარემ ბოლომდე მომისმინეთ აღსარება ცოდვილის.

ლევანი. მაშ ექიმს დავუძახებ. (წამოდგა გამომძიებელი).

ჩარგიევი. არავითარ შემთხვევაში, ბატონო ლევან! გთხოვთ ნუ იზამთ ამას, მინდა მარტო მომისმინოთ. ციალას, ქალბატონ ციალას გარეშე და საერთოდ გთხოვთ, არ უთხრათ მას ჩემი ნაამბობი. ალბათ მიმიხვდით რატომ მსურს ეს... სხვას ვისაც გინდათ უამბეთ... მაგრამ ისე რომ ადრესატი უცნობი დარჩეს.

ლევანი. (გამომცდელად უყურებს) კარგი, საუბარზე ნუ დავისწრებთ, მაგრამ...

ჩარგიევი. გმადლობთ, ბატონო ლევან... ვიცი რისი თქმაც გსურთ, მე კარგად ვარ ჯერჯერობით, ექიმის დახმარება არ მესაჭიროება, თხრობაც შემიძლია, ძალიან გთხოვთ მომისმინოთ, კარგი?

ლევანი. რა გაეწყობა.

ჩარგიევი (აგრძელებს თხრობას). პატიმრობიდან ამნისტიამ გამანთავისუფლა, კოლონიიდან 27 წლის ასაკში გამოვედი. როსტოვში შემარქვეს „ჩერქეზი“ და ეს სახელი საკმაოდ ქუხდა ქურდების წრეში. თბილისში მაისის მშვენიერ სალამოს ჩამოვედი. დეიდაჩემის და ჩემი დის საფლავები მოვინახულე. დიდხანს ვიჯექი ორ საფლავს შუა, ნარსულს ვიგონებდი, სურათი

სურათს ცვლიდა, გონებაში კინოფირივით გაირბინა ბავშვობის წლებმა. ბავშვობის დღეებმა. ნათლად დამიდგა თვალწინ უკანასკნელი 10 იანვარი, საზეიმო ვახშამი, შავბენელი ლამე, გაფიტრებული მამა, აქვი-თინებული დედა, ეკას ავადმყოფობა, სიკვდილი, სახ-ლიდან გაქცევა, მწუხარებით დატანჯული დეიდას სახე, არტაშა, რუბენა, მრავალი ქურდობა, ციხე და გადასახლება. სასაფლაოზე, უკანასკნელად 14 წლის წინათ, ეკასათვის მიცემული ფიცი და ამ ფიცის გატეხვა. და ყოველივე ეს რისთვის, იმ უსამართლო ბრალდებისთვის, რომლითაც ჩემი მშობლები დაი-საჯნენ, თუმცა აღმოჩნდა რომ ჩემი მშობლები უდა-ნაშაულო იყვნენ და ბრალდება შეთითხნული და ცილისწამებლური იყო. ეს მე შემდგომ მოვიძიე, რომ ჩემი მშობლების მიმართ საქმე წარმოებით იყო შეწყვეტილი და ორთავენი სიკვდილის შემდეგ რეაბი-ლიტირებულნი იყვნენ, მათ მოქმედებაში დანაშაუ-ლის ნიშნების უქონლობის გამო. ესეც ბედის დაცინ-ვაა. ახლა ჩვენს საქმეს დაუბრუნდეთ, მე დარწმუნებ-ული ვიყავი, გამოძიება ასე სწრაფად ვერ ჩაგვიდგე-ბოდა კვალში და სწორად ამიტომ იარაღი თავიდან მოვიშორე. დევიძის ბინაზე დავტოვე, როგორც ჩანს ვერ შევაფასე თქვენი უნარი, ჩემი ეს შეცდომა არც არის გასაკვირი, 20 წლის მანძილზე მგელივით დავრძნოდი და თუმცა დამდევდნენ, თავისუფლად ვუსხლტებოდი დიდი ქალაქების სამძებრო ორგა-ნოებს. ქუთაისი კი, ეს პროვინციული ქალაქი ჩემი აზრით, ნაკლებად შესძლებდა ჩვენი კვალის აღმო-ჩენას, აქაც შევცდი და თქვენ ჩაგივარდით ხელში, ესეც ბედის დაცინვაა ალბათ, რა გაეწყობა... ასე იყოს! თუ შეიძლება წყალი მიმაწოდეთ ბატონო ლევან. (გამომძიებელი ჭიქას აწვდის).

მე დავამთავრე ჩემი აღსარება, ბატონო ლევან,

თქვენ ალბათ მიხვდით, რამ მოახდინა ჩემში ასეთი გარდატეხა... ციალა... რომ შემძლებოდა ჩემი თავის დაძლევა და რამდენიმე წლის წინათ ციალასთან შეხვედრისას ხელთ ამეღო ჩემს პროფესიაზე, იქნებ მეც მრგებოდა დამსხვრეული სიხარულის პატარა ნატეხი. არა, ციალას სიყვარულზე როდი ვამბობ. შეუძლებელზე როდი ვოცნებობ. სადმე ვიმუშავებდი, ციალასთან, როგორც ღვიძლ დასთან ვიმეგობრებდი, ის ხელს არ მკრავდა, გამიგებდა, დამეხმარებოდა, ისევ შემეყვარებინა ადამიანები, ახლა კი... ახლა, მე საამქვეყნო აღარა ვარ და არ მინდა საფლავში წავილო ჩემი დალუპვის საიდუმლო. ვინ იცის, იქნებ გამოგადგეთ, განსაკუთრებით თქვენ, რომლებიც ადამიანების ბედს წყვეტთ, უდანაშაულის დასჯას ხომ ხშირად უფრო მეტი ბოროტება მოაქვს, ვიდრე სიკვდილს, ჩემთვის კი ყველაფერი დამთავრებულია. საფლავიდან გელაპარაკებით და ადამიანთა სამართალს ჩემზე ძალაც აღარ აქვს უკვე.

ლევანი. თქვენ არ მოკვედებით თამაზ, იცოცხებოთ! და მწამს, რომ შესძლებთ მალე დაუბრუნდეთ საზოგადოებას.

ჩარგიევი. (მწარედ ეღიანიმება) გვიანდაა, ყველა ხიდი დამწვარია.

ლევანი. თქვენი მონანიება? ახლა სხვა დროა, სასამართლო ყველაფერს გაითვალისწინებს, მხედველობაში მიიღებს და სასჯელმოხდილი, გაწმენდილი დაუბრუნდებით ადამიანებს.

ჩარგიევი. მე მთავარი არ მითქვამს თქვენთვის, ბატონო ლევან...

ლევანი. მე არც გეკითხებით, არც საჩქაროა, ხვალ, ზეგ მიამბობთ.

ჩარგიევი. ჩემთვის ხვალინდელი დღე არ გათენდება... თენდება... (განაგრძობს სუსტი ხმით) ადამიანები ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებიან... გავა ზამთარი,

გაზაფხულზე ლურჯი იები აყვავდება, ხეები მწვანედ მოირთვება, ვარდები გაიფურჩენება, თავიანთი სიტურფით ადამიანებს სახარულს მოუტანენ, სურნელობას აზიარებენ, მე კი, მე... საფლავში ვიქნები და ჩემი სიკვდილიც არავის დასწყვეტს გულს... არავის დაენანება, ერთ იასაც არავინ მოიტანს ჩემს სამარეზე და ეს საფლავიც ისე დაიკარგება, ვით მე ცოცხალი დავიკარგე ამ ქვეყანაში (ჩარგიევის ხმა შეუწყდება და უღონოდ გადაესვენება ბალიშზე). გამომძიებელი დაცქერდება სახეს, შემდეგ შეშფოთებული წამოხტება სკამიდან და ექიმს უძახის).

ლევანი. ციალა, ჩქარა, ავადმყოფი ცუდად არის. შეშინებული ციალა პალატაში შემოვარდება, ჩარგიევის მკლავს გაუშიშვლებს და ნემს უკეთებს.

ციალა. ჩქარა დეგალინი (შესძახა თან შემოყოლილ ექთანს და აკანკალებული ხელით ავადმყოფის მაჯას წაეტანა. ამ დროს კარები იღება და პალატაში ფეხაკრეფით შემოდის ბალანჩივაძე და ნელა მიუახლოვდა გამომძიებელს.

დავითი. გარდაიცვალა (მინდელი თავს აქნევს. ჩარგიევმა რამდენჯერმე ამოიკვნესა და მძიმედ, ნელ-ნელა გაახილა თვალი).

ციალა. მადლობა ღმერთს.

ჩარგიევი. ისევ თქვენ ექიმო, გმადლობთ (წაიჩურჩულა მან).

ციალა. ლაპარაკი არ შეიძლება, გავნებთ.

ჩარგიევი. ვიცი ექიმო, მაგრამ ეს სიკვდილს ვერ შეაჩერებს მე კი ჯერ მთავარი არ მითქვამს... სად არის გამომძიებელი?

ციალა. ნუ ლაპარაკობთ, მათე, თქვენთვის მომაკვდინებელია ოდნავ მღელვარებაც კი.

ჩარგიევი. არა ექიმო, გევედრებით, გთხოვთ, შხამად ნუ გამატანთ, დააპრუნეთ გამომძიებელი. თქვენ კი...

თქვენ წადით, რამდენიმე წუთი კიდევ დამტოვეთ (ციალა ცრემლიანი საწოლს მოშორდა, გამომძიებელი მიუახლოვდა ჩარგიევს.

ლევანი. სხვა დროისათვის გადავდოთ საუბარი, მათე.

დავითი. ასე აჯობებს, ახლა თქვენ სუსტად ხართ.

ჩარგიევი. არა, ექიმმა დამიბრუნა ღონე... ან უფრო სწორად იმიტომაც მოვპრუნდი, რომ სათქმელი დავამთავრო... თქვენ ხომ არ იცით მე ვინ ვარ, არ მინდა ჩემი აღსარების შემდეგ სხვისი გვარით ჩავწვე საფლავში, მე არავინ მყავს ამ ქვეყნად... არავინ დაიტირებს ჩემს სიკვდილს... მაგრამ არ მინდა იმათ მთვლიდეთ, ვინც არა ვარ... თბილისში და იქნებ სხვაგანაც... ახლაც... ახსოვთ ალბათ ცნობილი პროფესორი რევაზ გელოვანი... და მისი მეუღლე მარინე... განთქმული ინჟინერი... მე მათი ვაჟი ვარ... თამაზ გელოვანი...

დავითი. გელოვანი? (ფეხზე წამოხტება პოლკოვნიკი).

ციალა. გელოვანი! თამაზ გელოვანი! (იკივლა უცბად ციალამ, რომლის ოთახში ყოფნა არავის შეუმჩნევია.. იგი ანგარიშმიუცემლად მივარდება პატიმრის საწოლთან).

ციალა. თამაზ, თამაზ, ჩემო ბავშვობის მეგობარო (გულდამდულრებულმა იყვირა ბარათელმა და საწოლზე დაემხო, ტირის და ცრემლით ალბობს მომაკვდავის მკერდს).

ჩარგიევი. (მისი სახე ძლიერმა სიხარულმა გააშუქა, გაფიტრებული ღაწვები ერთბაშად აენთო, თვალებში ელვარება ჩა ჩაუდგა). თქვენ... თქვენ... აქ იყავით... მოისმინეთ? მე ეს არ მინდოდა იმიტომ, რომ მსურდა მხოლოდ ჩარგიევი მომკვდარიყო, თამაზის კი ეცოცხლა, თუმცა ვინ იცის, იქნებ ასე სჯობს. მადლობთ, ციალა, სიკვდილს არ ვნანობ, რაკი შენი წმინდა ცრემლი მიმყვება სამარეში... იყავი ბედნიერი!.. ნუ ტირი, გა-

ზაფხული მოვა, იები აყვავდება. მე... (ჩარგიევს უეც-რად ხმა ჩაუწყდა და ბალიშიდან მოწყვეტით გადაუ-ვარდა ხუჭუჭა თავი. გამომძიებელი გონს მოდის და ფრთხილად უხუჭავს ცხედარს ღიად დარჩენილ თვა-ლებს, ზენარი დააფარა სიკვდილდაუფლებულ სახ-ეზე. შემდეგ მორიდებით წაიყვანა მოქვითინე ციალა და აცრემლებულ ექთანთან ერთად თითქმის ძალით გაყავს პალატიდან).

დავითი. (ნელა დაეშვა სკამზე, ხელის ფათურით მოძებნა პაპიროსი, მოუკიდა, მოქაჩა და ღრმად ამოიოხრა). იცი ლევან (წამოიწყებს ნაღვლიანად), მე ვიცნობდი რევაზ გელოვანს, მე ვიძიებდი მათ საქმეს, რომელიც უნდა ითქვას, ძალზედ გახმაურებული და დაუჯერე-ბელი იყო. თუმცა საქმის წარმოებაზე უარი არ მითქვამს, მეშინოდა სუბიექტური განცდების ქვეშ არ მოვქცეულიყავი, სადღაც ქვეშეცნობილად ვგრძნობ-დი, რომ გელოვანები ბოროტების მსხვერპლნი იყვ-ნენ. ამიტომ წინააღმდეგი ვიყავი მათი დაპატიმრე-ბის. მახსოვს თამაზიც, იგი არაერთხელ იყო ჩემთან. ვამედებდი, საფუძველიც მქონდა, ხოლო როდესაც ღრმად შევიჭრი საქმეში და მთელი რიგი მხილებანი საეჭვოდ მივიჩნიე, თანამდებობიდან ჩამომაქვეითეს. ამას ისიც დაერთო, რომ ჩემზე უსახელო საჩივრებით გაივსო ზემდგომი ორგანოები, ჩემი მაშინდელი ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობდა პასუ-ხისგებაში მივეცე გელოვნების საქმისადმი მიკერ-ძოების ბრალდებით. შეიძლება მიეღწიათ კიდეც მი-ზანს, ცენტრალური კომიტეტი რომ არ ჩართულიყო საქმეში. გელოვნებს ალბათ გითხრათ რა ბედიც ეწია... ახლა კი, ახლა ვეღარ ვიცანი.

ლევანი. ვერც მან გიცნოთ, ბატონო დავით, თუმცა მიამბო თავისი წარსული და ყოველივე, რაც მოხდა. თბილად

მოიგონა გელოვნების საქმის პირველი გამომძიებელი.

დავითი (მძიმედ წამოდგება, მეორე პაპიროს მოუკიდებს) აი რა მძიმე შედეგები მოსდევს ჩვენს შეცდომას, ერთი შეხედვით დანაშაულის მამტკიცებელი ფაქტების უკრიტიკოდ მიღებას, შიშს გამოძიების შედეგად დაინტერესებულ ანონიმურ ავტორთან წინაშე. ვინ არის ახლა იგი? (და მან სარეცელზე მიანიშნა გამომძიებელს). დამნაშავე? რომელმაც არაერთი ავკაცობა ჩაიდინა და ისე შეიძულა ადამიანები, რომ მხოლოდ ბოროტებალა ანიჭებდა სიხარულს. შეხედეთ მას, ლევან, კარგად შეხედეთ, კარგი მომავლის ადამიანი იყო. ბოროტი კარიერისტის დაბეზღებით, დანაშაულის მტკიცებათა მოხერხებულ ფალსიფიკაციით და მართლმსაჯულების შეცდომის გამო, მძვინვარე ქურდად იქცა და ბევრი ისეთი ავკაცობა ჩაიდინა, რომ იქნებ სიკვდილითაც ვერ დაიმსახურა პატიება. შეხედეთ, და არასოდეს დაგავინყდეთ, რამ დააყენა იგი ასეთ გზაზე. გესმით, ლევან?!

პიესის დასასრული

